პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

10 აგვისტო, 1939 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

№ 23 (110) ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნისას ა. წ. 1 აგვისტოს

ამხანაგებო!

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია. მასში გამოხატულებას პოულობს დიადი გამარჯვება საკოლმეურნეო წყობილებისა, რომელმაც საბოლოოდ გასწმინდა საბჭოთა მიწა-წყალი კულაკებისა და სხვა ექსპლოატატორებისაგან, გაანთავისუფლა გზა სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და მთელი ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი აღმავლობისათვის.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, რომლის მოწყობის თაოსნობა ეკუთვნის დამკვრელ კოლმეურნეთა 1935 წლის მეორე სრულიად-საკავშირო ყრილობას, არის, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობათა გამოფენა, გამოფენა საკოლმეურნეო გამარჯვებათა, რომლებშიაც ჩვენ ვხედავთ ყოვლისმძლე ძალას მუშათა და გლეხთა კავშირისას კომუნიზმის დროშის ქვეშ (**ტაში**), ლენინ-სტალინის დიადი პარტიის დროშის ქვეშ (**მქუხარე ტაში, შეძახილები „ვაშა!“**). ამით განსხვავდება იგი რადიკალურად 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენისაგან, როცა ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული იყო ერთპიროვნული წვრილი გლეხური მეურნეობა, ხოლო კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჯერ კიდევ ძალიან სუსტნი იყვნენ და უმნიშვნელო ადგილი ეკავათ.

ახლანდელი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა აჯამებს იმ ათწლედის შედეგებს, რომლის დამდეგსაც გლეხთა მასებმა საბოლოოდ იბრუნეს პირი წვრილი ერთპიროვნული მეურნეობისაგან მსხვილი საკოლმეურნეო მეურნეობისაკენ. მოიგონეთ, ამხანაგებო, „დიადი გარდატეხის წელიწადი“ — 1929 წელი, როცა მოხდა გლეხობის ეს შემობრუნება კოლექტივიზაციის გზისაკენ. მაშინ, ათი წლის წინათ, კოლმეურნეობათა საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნისათვის ნიადაგი უკვე მრავალმხრივ მომზადებული იყო. საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცდა. ჩვენმა ინდუსტრიამ იწყო ტრაქტორებისა და მანქანების მასობრივი გამომუშავება სოფლის მეურნეობისათვის. კულაკობასთან ბრძოლა, განსაკუთრებით 1928-1929 წლებში პურის დამზადების დროს, მთელი ფრონტით გაიშალა და კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ საერთო შეტევად გადაიქცა. სოფლად უკვე არსებობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დიდი გამოცდილება. პირველი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი ცნობილი გახდა. პარტიამ და მთავრობამ ამ დროისთვის დიდი მუშაობა ჩაატარეს, რათა განემარტათ გლეხებისათვის, რომ სოფლის მეურნეობის ნამდვილი აღმავლობა და ქალაქების პურით და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით უზრუნველყოფა შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გლეხობა კოლმეურნეობების გზაზე, ერთპიროვნულ მეურნეობათა კოლექტივიზაციის გზაზე გადავა. მაშინ მოხდა ჩვენი ქვეყნის გლეხობის ისტორიული შემობრუნება კოლმეურნეობათა გზისაკენ. თავის ცნობილ სტატიაში „დიადი გარდატეხის წელიწადი“ ამხანაგი სტალინი 1929 წლის დამლევს სწერდა:

„**საშუალო გლეხი კოლმეურნეობებისაკენ დაიძრა.** ეს არის სოფლის მეურნეობის განვითარების იმ ძირფესვიანი გარდატეხის საფუძველი, რომელიც განვლილ წელიწადში საბჭოთა ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მიღწევას წარმოადგენს...

იმსხვრევა და ქარწყლდება უკანასკნელი იმედი ყველა ქვეყნის კაპიტალისტებისა, რომლებიც ოცნებობენ საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის აღდგენაზე, — „კერძო საკუთრების წმინდა პრინციპი“. გლეხები, რომლებსაც ისინი კაპიტალიზმისათვის საჭირო ნიადაგის გამანოყიერებელ მასალად სთვლიან, მასობრივად სტოვებენ „კერძო საკუთრების“ სანაქებო დროშას და გადადიან კოლექტივიზმის რელსებზე, სოციალიზმის რელსებზე. იმსხვრევა კაპიტალიზმის აღდგენის უკანასკნელი იმედი“.

კოლექტივიზაციის გზისაკენ გლეხობის ამ მობრუნებამ ჩვენს პარტიას და მთავრობას საშუალება მისცა ამოცანად დაესახათ კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასვლა ახალ პოლიტიკაზე — მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. გადალახა რა კულაკებისა და სხვა კონტრრევოლუციური ელემენტების გაავთრებული წინააღმდეგობა სოფლად, გადალახა რა ჩვენს ქვეყანაში ბურჟუაზიის ნაბოლარების, — ყველა ამ ტროცკისტთა, მემარჯვენეთა და მისთანათა წინააღმდეგობა, — ბოლშევიკურმა პარტიამ სოფლის მშრომელნი დარაზმა თავისი დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ, საბჭოთა ხელისუფლებისა, რომელიც მტრული ელემენტების მთელი წინააღმდეგობის მიუხედავად და ყოველგვარი „მემარცხენე“ გადამხვევების საშიში გადახრების მიუხედავად, აშენებდა კოლმეურნეობებს, — და სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა (**მქუხარე ტაში**). გლეხობის შემობრუნება კოლმეურნეობათა გზაზე 1929-1930 წლებში და საკოლმეურნეო წყობილების საბოლოო გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც კოლმეურნეობათა შემდგომი წარმატებანი, განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი პარტიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი ბელადის სახელთან — დიდი **სტალინის** სახელთან (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში, შეძახილები „ვაშა“**).

თავიანთ გამარჯვებათა განსამტკიცებლად, კოლმეურნეობებს უნდა გაევლოთ სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის მძიმე პერიოდი. სამი-ოთხი წელი დასჭირდა იმას, რომ კოლმეურნეობათა ორგანიზაცია ძირითადად დამთავრებულიყო, რომ გლეხობის ძირითადი მასა საბოლოოდ მიჰმაგრებოდა კოლმეურნეობებს. ამის შემდეგ დაიწყო სოფლის მეურნეობის თანდათანობითი და განუხრელი აღმავლობა კოლმეურნეობათა საფუძველზე, საკოლმეურნეო წყობილების საფუძველზე.

და აი ახლა, სულ ათიოდე წლის შემდეგ, ჩვენ უკვე გვაქვს საბოლოოდ განმტკიცებული კოლმეურნეობები და სოფლის მეურნეობის სოციალისტური სისტემა, რაც განუყოფლად გაბატონებულია ჩვენს ქვეყანაში. ახლა უკვე მთელი სათესი ფართობი, მცირე გამონაკლისის გარდა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეკუთვნის. ახლა ჩვენს ქვეყანაში ერთპიროვნულ მეურნეობათა ნათესები ნახევარ პროცენტზე ნაკლებს შეადგენს. ჩვენი სოფლის მეურნეობა უხვად არის შეიარაღებული ახალი ტექნიკით, როგორსაც იგი წინათ არ იცნობდა. მძლავრი ტრაქტორების რაოდენობა სოფლის მეურნეობაში ნახევარ მილიონ ცალს აღემატება. ეს ტრაქტორები უდიდეს სამუშაოს ასრულებენ და ბევრად აადვილებენ კოლმეურნეთა შრომას. კომბაინების რაოდენობამ 165 ათასს მიაღწია. წელს კომბაინებმა მარცვლეულ კულტურათა მთელი სათესი ფართობის ნახევარზე მეტი უნდა აიღონ. სატვირთო ავტომობილების რაოდენობა 200 ათასს აღემატება. სოფლის მეურნეობაში ბევრია აგრეთვე სხვა მანქანები, რომლებიც მას ესაჭიროება, და წლითიწლობით იზრდება მისი ახალი ტექნიკის ძლიერება. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რიცხვმა 6,5 ათასს მიაღწია. ეს მტს-ები მთავარ ორგანიზატორულ სამუშაოს ასრულებენ მთელი საკოლმეურნეო მეურნეობის აღმავლობის საქმეში. საბჭოთა მეურნეობების რიცხვმა თითქმის 4 ათასს მიაღწია და მათ შორის იზრდებიან სანიმუშო მეურნეობათა რიგები. ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ძირითადად უკვე დამთავრებულია ჩვენი მიწათმოქმედების რეკონსტრუქცია ახალი თანამედროვე ტექნიკის საფუძველზე (**ტაში**). თანამედროვე ტექნიკით შეიარაღება ჩვენს სოფლის მეურნეობაში ახლა უფრო მაღლა დგას, ვიდრე სხვა რომელიმე ქვეყანაში.

შეიქმნა მექანიკოსთა, ტრაქტორისტთა, კომბაინერთა, შოფერთა მრავალრიცხოვანი კადრები, — მათი რიცხვი 1,5 მილიონ კაცს აღემატება. ამ წრიდან და, განსაკუთრებით, ტრაქტორისტთა და კომბაინერთა წრიდან, უკვე დაწინაურდა საქმის მცოდნე მრავალი ადამიანი, რომლებმაც სტახანოვური მუშაობის შესანიშნავი ნიმუშები მოგვცეს, და მათ შორის საუკეთესოთა სახელებს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი იცნობს (**ტაში**). ამ წლების მანძილზე გლეხთაგან ასიათასობით და მილიონობით ადამიანები გადაიქცნენ მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობის გამოცდილ ორგანიზატორებად კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეო რგოლებსა და ბრიგადებში. ეს ადამიანები სწრაფად ეუფლებიან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო კულტურას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებას.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ შექმნილია ხელსაყრელი პირობები ჩვენი მიწათმოქმედებისა და მთელი სოფლის მეურნეობის ძალების მძლავრი აღმავლობისათვის. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციამ უკვე გასულ წელს ერთნახევარჯერ გადააჭარბა სოფლის მეურნეობის 1913 წლის საერთო პროდუქციას. აღმავლობაა სოფლის მეურნეობის ყველა დარგში: მარცვლეულისა და ბამბის, ჭარხლისა და სელის, ბოსტნეულისა და ციტრუსოვანი სუბტროპიკული კულტურების დარგში. წარმატებით სრულდება ჩვენი პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უზრუნველვყოთ 7-8 მილიარდი ფუთი მარცვლის მოსავალი. მაგალითად, წელსაც, თუ კარგად მოვაწყობთ მოსავლის აღებას, ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს 7 მილიარდი ფუთი მარცვლის აღების იმედი ვიქონიოთ (**ტაში**). ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ რა უდიდესი ნაბიჯებით მიმდინარეობს სოციალისტური მიწათმოქმედების აღმავლობა.

მეცხოველეობის დარგშიც, სადაც ჩვენ ყველაზე მეტი ჩამორჩენა გვქონდა, უკანასკნელ წლებში სერიოზული გაუმჯობესება გვაქვს. ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პარტიისა და მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილება მეცხოველეობის აღმავლობის შესახებ. ამ გადაწყვეტილებით მიღებული ზომები მეცხოველეობის განვითარებისა და ხორცის ჩაბარების ძველი სისტემიდან ახალ სისტემაზე გადასვლისათვის, იმ მიწის რაოდენობის მიხედვით, რომელიც კოლმეურნეობას აქვს, აადვილებს იმ კოლმეურნეობათა მდგომარეობას, რომლებიც ყველაზე მეტად ზრუნავენ მეცხოველეობის განვითარებისათვის, და ამასთან ერთად ბიძგს აძლევს მეცხოველეობის გადაჭრით განვითარებას ყველა კოლმეურნეობაში. შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ 1939 წელი მნიშვნელოვნად წასწევს წინ საკოლმეურნეო მეცხოველეობას (**ტაში**).

სულ ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ჩვენი გლეხობის მასამ იწყო კოლმეურნეობათა შენება. ახლა ჩვენ გვაქვს 240 ათასი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია ჩვენი ქვეყნის თითქმის მთელი გლეხობა. ჩვენს თვალწინ სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მიმდინარეობს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, რაც სულ უფროდაუფრო ფართოვდება. კაპიტალიზმის ხუნდებისაგან განთავისუფლებული, მოწინავე ტექნიკით შეიარაღებული, ორგანიზებული, როგორც მსხვილი საზოგადოებრივი წარმოება, ჩვენი სოფლის მეურნეობა წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება. ჩვენი სოფელი საბოლოოდ განთავისუფლდა მემამულეებისა და კულაკებისაგან, ყოველგვარი ექსპლოატატორებისაგან. ჩვენს სოფელში უკვე აღარ არიან ღარიბი გლეხები, რომლებიც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ გლეხთა მასის ერთ მესამედს შეადგენდნენ, ხოლო რევოლუციამდე გლეხობის ნახევარზე მეტი იყვნენ. ჩვენ სამუდამოდ განვთავისუფლდით ძველი, ბურჟუაზიულ-მემამულური სახელმწიფოს ამ თანამგზავრისგანაც. კოლმეურნე გლეხები ახლა მხოლოდ საკუთარი თავისათვის, თავისი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის შრომობენ (**ტაში**). ჩვენს ქვეყანაში ყველა კოლმეურნე გლეხისათვის გახსნილია გზა შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ (**ტაში**). არცერთ სხვა ქვეყანაში, კაპიტალიზმის დროს ვერასოდეს ვერც კი იოცნებებენ ამაზე მშრომელი გლეხები.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ამის უამრავ დამამტკიცებელ საბუთს იძლევა ჩვენი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზრდისა და განმტკიცების მრავალი ათასი ცოცხალი მაგალითის ჩვენებით, კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრების უამრავი მაგალითის ჩვენებით. ეს გამოფენა გვიჩვენებს ჩვენი დიდი ქვეყნის ყველა რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ძალების დაწყებულ მძლავრ აყვავებას. იგი ბრწყინვალედ აშუქებს ჩვენი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ზრდასა და აღმავლობას, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და სხვადასხვა სახის მეცხოველეობის განვითარებას, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობათა წარმატებებს, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობათა ფერმების წარმატებებს, სამეცნიერო დაწესებულებათა და სოფლის მეურნეობის მეცნიერების ცალკეულ გამოჩენილ მუშაკთა წარმატებებს, ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ცალკეულ მოწინავეთა და წარჩინებულ ადამიანთა წარმატებებსა და მიღწევებს (**ტაში**).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ჩვეულებრივი შაბლონებით როდია მოწყობილი.

აქ უბრალოდ კი არ არის წარმოდგენილი მუშაობის ესა თუ ის კარგი ნიმუშები, სოფლის მეურნეობის პროდუქციის ესა თუ ის ნიმუშები. სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება განსაზღვრულია კანდიდატთა შერჩევის ზუსტი, მეცნიერულად დასაბუთებული პირობებით. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება რომ მიიღონ, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებს, სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებს, სასელექციო და საცდელ სადგურებს უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, სახელდობრ 1937-1938 წლებში თავიანთი მუშაობის განსაზღვრული მაჩვენებლები უნდა ჰქონდეთ. თვითეული სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის, სათანადო ზონების მიხედვით, დაწესებულია განსაზღვრული მოსავლიანობა, მეცხოველეობას ყოველგვარი სახის მეურნეობისათვის დაწესებულია მოზარდეულის გამოზრდისა და პროდუქტიულობის განსაზღვრული მაჩვენებლები; მხოლოდ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მაჩვენებლების მიღწევით შეიძლება სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლების მიღება. დაწესებულია მტს-ების კარგად ორგანიზებული მუშაობის განსაზღვრული მაჩვენებლები, აგრეთვე დაწესებულია უკანასკნელი 1938 წლის განმავლობაში მუშაობის მაჩვენებლები სოფლის მეურნეობის მოწინავეთათვის. მხოლოდ ამ მაჩვენებლების მიღწევის დროს ეძლეოდათ საშუალება კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე სოფლის მეურნეობის ცალკეულ მოწინავე ადამიანებს, გამხდარიყვნენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი და მაშინ შეჰქონდათ ისინი გამოფენის საპატიო წიგნში. ვაწესებდით რა ამ მაჩვენებლებს მოწინავე მეურნეობათა ნიმუშების მიხედვით და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ცალკეულ წარჩინებულ ადამიანთა მუშაობის კარგი ნიმუშების მიხედვით, ჩვენ იმით ვხელმძღვანელობდით, რომ სოფლის მეურნეობის თვითეული დარგის წინაშე, სოციალისტური მიწათმოქმედების მუშაკთა თვითეული ჯგუფის წინაშე და ამით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი მასის წინაშე კონკრეტული ამოცანები დაგვესახა უახლოესი დროისათვის. ამასთან ჩვენ ვხელმძღვანელობდით იმით, რომ ეს უნდა იყოს ისეთი მაჩვენებლები, რომელთა საშუალოდ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი მასის მიერ მიღწევაც სოფლის მეურნეობაში მესამე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა შესრულებას და გადაჭარბებით შესრულებასაც კი მოასწავებდეს. ამასთან ერთად ეს საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ რომელი რესპუბლიკა ან ოლქი მიდის წინ ან, პირიქით, რომელი ჩამორჩება სოფლის მეურნეობის ამათუიმ სახის ხაზით, რომელ მათგანშია გამოზრდილი სოფლის მეურნეობის უფრო მეტი მოწინავე ადამიანები. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მაჩვენებლების პროგრამაში მოცემულია მესამე სტალინური ხუთწლედის გეგმის შესაბამისად სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის პროგრამა. (**მქუხარე ტაში**).

რაც უფრო მალე უზრუნველვყოფთ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მთელი მასის მიერ სასოფლო - სამეურნეო გამოფენის მონაწილეთათვის დაწესებული მაჩვენებლების შესრულებას, მით უფრო მალე უზრუნველვყოფთ მესამე ხუთწლედის მთელი გეგმის შესრულებას სოფლის მეურნეობის დარგში. ამაში მდგომარეობს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის, როგორც მესამე ხუთწლედის შესრულებისათვის წარმოებული სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზატორის, მნიშვნელობა. (**მქუხარე ტაში**).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა შერჩევამ დაგვანახვა, რომ ჩვენში უკვე ცოტანი არ არიან ისეთი კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი, მტს-ები, საკოლმეურნეო ფერმები, აგრეთვე კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა მეურნეობის მოწინავენი, რომლებიც მესამე ხუთწლედის მოთხოვნების დონეზე დგანან, ხოლო ბევრ შემთხვევაში მნიშვნელოვნად უსწრებენ კიდეც ამ მოთხოვნებს. სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მიიღო 15.059 კოლმეურნეობამ, 11.004 საკოლმეურნეო ფერმამ, 268 მტს-მა, 795 საბჭოთა მეურნეობამ. **გარდა ამისა**, სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება მიიღო 155.821 კაცმა — სოფლის მეურნეობის მოწინავეებმა და წარჩინებულმა ადამიანებმა (**მქუხარე ტაში**). 1939 წელს მუშაობაში კარგი მაჩვენებლების მიღწევისას, მომავალ 1940 წელს ათასობით ახალ კოლმეურნეობას და საბჭოთა მეურნეობას, სოფლის მეურნეობის ათიათასობით ახალ მოწინავეებს შეეძლებათ მონაწილეობა მიიღონ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. მაშ ვისურვოთ, რომ რესპუბლიკებსა, მხარეებსა, ოლქებსა და რაიონებს შორის, კოლმეურნეობებსა, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებს შორის რაც შეიძლება ფართოდ გაიშალოს სოციალისტური შეჯიბრება სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად არა მარტო წელს, არამედ 1940 წელსაც! (**ტაში**).

სასოფლო-სამეურნეო კულტურების ყველა დარგში, მეცხოველეობის ყველა დარგში ამ გამოფენაზე ნატურით მოიპოვება უშესანიშნავესი ნიმუშები და მიღწევები, რომლებიც ხშირად მსოფლიო რეკორდებს სჭარბობენ. ეს გამოფენა განსაკუთრებული დამაჯერებლობით ცხადჰყოფს საკოლმეურნეო წყობილების ძალას, ხოლო მისი ათასობით ნიმუში, რაც აქ წარმოდგენილია ყველა რესპუბლიკის, მხარეებისა და ოლქების მიერ, წარმოდგენას იძლევა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის უთვალავ სიმდიდრეზე, მის იშვიათ მრავალფეროვანობაზე, განუხრელ აღმავლობასა და დიად შემოქმედებით ძალებზე. ჩვენი გამოფენა არა მარტო აჯამებს გამარჯვებათა შედეგებს, არამედ წარმოადგენს აგრეთვე მძლავრ მოწოდებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ, სოციალიზმის ახალი სახელოვანი გამარჯვებებისაკენ. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებათა დემონსტრაციით ჩვენ ცხადვყოფთ ჩვენი ახალი საბჭოთა კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასის ორგანიზაციის დიად ძალას. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, მსხვილი სოციალისტური ინდუსტრიის ზრდისა და განუხრელი აღმავლობის მეოხებით, მძლავრ საბჭოთა ძალად არის დარაზმული. კოლმეურნეობებმა, რომლებმაც ჩვენი გლეხობა დაქსაქსულ და დაქუცმაცებულ წვრილ მეურნეთაგან საზოგადოებრივი სოციალისტური მეურნეობის მშენებლებად გადააქციეს, საბჭოთა კოლმეურნე გლეხობა გადააქციეს დიად ძალად, რომელიც დღეს ცხადჰყოფს თავისი სამეურნეო ორგანიზებულობის, კულტურული ზრდისა და სოციალისტური შეგნებულობის უდიდეს წარმატებებს (**ტაში**). ამგვარად, საკოლმეურნეო გამარჯვებათა დემონსტრაცია მთელი ჩვენი ხალხის სამეურნეო და პოლიტიკურ ორგანიზაციაში მიღწეულ უდიდეს წარმატებებს ნიშნავს. საბჭოთა კავშირის ხალხები, ურღვევი მეგობრობით შეკავშირებულნი, წარმოადგენენ წარსულში უმაგალითო, კაპიტალიზმის დროს შეუძლებელ დიად, ორგანიზებულ ძალას (**ტაში**). ეს არის საწინდარი კომუნიზმის შემდგომი წარმატებებისა ჩვენს ქვეყანაში. ამაშია საკოლმეურნეო გამარჯვებათა დემონსტრაციის დიადი საერთაშორისო მნიშვნელობა.

ნება მიბოძეთ ყველას, ვინც თავისი სანიმუშო მუშაობით მოიპოვა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მონაწილეობის უფლება, მხურვალედ მივესალმო პარტიისა და მთავრობის სახელით (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!“**). ნება მიბოძეთ ბოლშევიკური სალამი გადავცე კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმის დამწყებთ და ყველა იმათ, ვინც ახლა განუხრელ ბრძოლას აწარმოებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალ-ახალი წარმატებებისათვის (**მქუხარე ტაში**). ნება მიბოძეთ მივულოცო გამოფენის ორგანიზატორებსა და მშენებლებს, არქიტექტორებსა და მხატვრებს, პასუხისმგებელ ხელმძღვანელებსა და რიგითს მუშაკებს მათი ამოცანის წარმატებით შესრულება (**მქუხარე ტაში**).

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ძლევამოსილ კოლმეურნე გლეხობას! (**მქუხარე ტაში. შეძახილები „ვაშა!“**).

გაუმარჯოს სოციალიზმის მშენებელ მუშათა და გლეხთა ურყევ კავშირს! (**მქუხარე ტაში. შეძახილები „ვაშა!“**).

გაუმარჯოს ჩვენს გამარჯვებათა ორგანიზატორს — ლენინ-სტალინის დიად პარტიას! (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!“**).

გაუმარჯოს კოლმეურნეობებისა და სოციალიზმის ქვეყნის დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს!** (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები „ვაშა!“**).

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას გახსნილად ვაცხადებ.

(**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის. შეძახილები — „გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობის მეთაურს ამხანაგ მოლოტოვს! ვაშა! ამხანაგ სტალინს ვაშა!“**).



საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: ამხანაგ სტალინის ქანდაკება გამოფენის მთავარ პავილიონის შესავალთან.

თერთმეტი დროშა გაშლილი არის

გრიგოლ ცეცხლაძე

თერთმეტი დროშა გაშლილი არის
და დედაქალაქს ამკობს, ამშვენებს,
დიდ სტალინის წინ ხალხი წამდგარი
თავისი შრომის ნაყოფს აჩვენებს.

და ეუბნება: შენის წყალობით
და შენი ბრძნული გონების ძალით
განთიადს ვხვდებით ეხლა გალობით
და სიხარულით გვიბრწყინავს თვალი.

დიად სამშობლოს ვემსახურებით,
სამშობლოს — გზას რომ უნათებ შენა,
მხარში გიდგევართ მტკიცე გულებით,
დოვლათს ახვავებს ჩვენი მარჯვენა.

ჩვენ ყოველი დღე გვიმრავლებს ხალისს,
ეს გამოფენაც დღე არის ლხენის.
აქ სურათია დღეის და ხვალის,
აქ განიცდიან სიხარულს ხენიც.

აქ თვალწინ გვიდგას ბაღი და ყანა
და ყველა კუთხის ღვინო და ხილი.
როგორც სარკეში, აქ ნათლადა სჩანს,
აყვავებული ცხოვრება ტკბილი.

თერთმეტი დროშა გაშლილი არის
და დედაქალაქს ამკობს, ამშვენებს,
დიდ სტალინის წინ ხალხი წამდგარი
თავისი შრომის ნაყოფს აჩვენებს.

მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად

ყოველი საბჭოთა პატრიოტის გულს აფრთოვანებს ის პოპულარობა, რომლითაც სარგებლობს მესამე ხუთწლედის მეორე წლის ეხლახან გამოშვებული სესხი. როგორც კი გამოქვეყნდა საკავშირო მთავრობის დადგენილება ახალი სესხის გამოშვების შესახებ, მაშინვე ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ფაბრიკა-ქარხნებსა და მაღაროებში, მშენებლობებსა და ტრანსპორტზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა და დაწესებულებებში შესდგა მშრომელთა მრავალრიცხოვანი მიტინგები.

ამ მიტინგებზე ჩვენი ქვეყნის პატრიოტები არა მარტო გამოსთქვამენ თავის უდიდეს აღფრთოვანებას, არა მარტო დაუყონებლივ აწერენ ხელს ახალ სესხს, არამედ ამასთან ერთად მსჯელობენ ჩვენი სამშობლოს სამეურნეო მდგომარეობაზე, აჯამებენ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის შესანიშნავ მიღწევებს და სახავენ უახლოეს სახალხო სამეურნეო ამოცანებს.

ორ აგვისტოს ნაშუადღევს, სწორედ იმ საათებში, როცა ახალი სესხის გამოშვებას მიესალმებოდნენ მილიონები, საბჭოთა ხალხის ერთსულოვან აღფრთოვანებას თავის ხმას უერთებდა ლიტერატურული ორგანიზაციების თანამშრომელთა და მწერალთა საერთო კრება.

მიტინგი გახსნა ამხ. სანდრო ეულმა, რომელმაც მოკლედ აღნიშნა ახალი სესხის განუზომელი მნიშვნელობა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, მესამე ხუთწლიანი გეგმის განხორციელებისათვის. სესხის გამოშვებას აღფრთოვანებით მიესალმნენ მიტინგზე გამოსული მწერლები: ამხ. სანდრო შანშიაშვილი, დ. ბენაშვილი, კონსტ. გამსახურდია, ილო მოსაშვილი, ალ. გომიაშვილი და ლიტფონდის სამკერვალო-სახელოსნოს მუშა ყაზარ მელიქსედოვი.

ჩვენი მშობლიური ხელისუფლების მიერ გამოშვებულ სესხებზე ხელის მოწერა, — ამბობდნენ ეს ამხანაგები, — საბჭოთა ქვეყნის ყოველ პატრიოტს მიაჩნია თავის უწმინდეს მოვალეობად. ამ სესხის სწრაფი გავრცელება გვაფრთოვანებს, რადგან ვიცით, რომ ჩვენს მიერ გაღებული მანეთები ემსახურებიან სოციალისტური მშენებლობის, კომუნისტური საზოგადოების აგების დიადი პროგრამის შესრულებას. ვაძლევთ რა ჩვენს დანაზოგს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, ამით ჩვენ მონაწილეობას ვღებულობთ უდიდეს სახალხო საქმეში: ვაძლიერებთ ჩვენი სამშობლოს თავდაცვითს უნარიანობას, ვაშენებთ ახალ თვითმფრინავებს, ახალ კრეისერებს, ახალ ფაბრიკა-ქარხნებს, ვეხმარებით ჩვენ მთავრობას განახორციელოს სახალხო მეურნეობის მესამე ხუთწლიანი გეგმა, ხელს ვუწყობთ ჩვენს სახელმწიფოს ეკონომიურადაც დაეწიოს და გაუსწროს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს. ვაწერთ რა ხელს ამ სესხს, ჩვენ საშუალება გვეძლევა გამოვხატოთ ჩვენი უწმინდესი გრძნობა, ჩვენი პატრიოტიზმი, კომუნიზმის საქმისათვის თავდადების მზადყოფნა, ჩვენი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება **ლენინ-სტალინის** დიადი პარტიისადმი.

ჩვენი ორგანიზაციის არც ერთი წევრი, ჩვენი დაწესებულების არც ერთი თანამშრომელი სესხზე ხელმოუწერელი არ უნდა დარჩეს, — ასეთია ჩვენი გადაწყვეტილება, რომელსაც დღესვე განვახორციელებთ. ამ წინადადებით თავდება რეზოლუცია, რომელიც მიტინგმა ერთსულოვნად მიიღო.

აკაკი წერეთლის იუბილესათვის

1940 წლის 21 ივნისს სრულდება ასი წელი ქართული ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის, ქართველი ხალხის საყვარელი პოეტის აკაკი წერეთლის დაბადებიდან. ქართული ლიტერატურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი თარიღის აღსანიშნავი იუბილეს მოსაწყობად გამოყოფილია იუბილეს ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: გ. კიკნაძე (კომისიის თავმჯდომარე), ალ. მაშაშვილი (თავმჯდომარის მოადგილე), გ. ლეონიძე (კომისიის მდივანი), ი. თავაძე, ბ. გოგუა, ვ. გრიგორიანი, ვ. ხატიაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ა. მირცხულავა, შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, ს. ჩიქოვანი, დ. ყიფშიძე, ქ. კეკელიძე, ი. ჯავახიშვილი, აკ. ვასაძე, შ. ღამბაშიძე, ი. ნიკოლაძე, ი. გრიშაშვილი, გალ. ტაბიძე, ნ. ლორთქიფანიძე, ლ. გუდიაშვილი, გ. კილაძე, ლ. გვარამაძე, დ. ანდღულაძე და ა. აბარიანი.

საიუბილეო კომისია მოკლე ხანში შეიკრიბება და შეუდგება სათანადო ღონისძიებების გამომუშავებას.

სონეტები

შალვა აფხაიძე

ძველი მემატიანე

განქრა მზის სხივი მთის ფიჭვნარში უკანასკნელი,
ცა დაიწინწკლა ვარსკვლავებით, დაჩუმდა არე,
მხოლოდ საკანში პერგამენტი არღვევს სიწყნარეს
და ავსებს თაფლით ქართულ სიტყვას მთრთოლვარე ხელი.

დასწერა წიგნი მან, უძველეს დროის მნახველი,
გადასცა ბწკარებს: სიყვარული, ცრემლები ცხარე,
მინდვრის ყვავილის სურნელება და სინარნარე,
წიგნი დიდების თავის ხალხის ცხადშემნახველი.

ამოძრავა შიგ ლაშქარი თბილ ასოებით,
ხალხის ზეიმი, მწუხარება, დაცემა, ხვავი.
სწერდა საკანში დიდ ბრძოლებზე ის სასოებით,

შთამომავლობას მან გადმოსცა სული უკვდავი.
შეუშვა შემდეგ წიგნში შველი, შუქი მთვარისა
და გაწოლილი ნაზი ორთქლი დილის ცვარისა.

წინაპარი

დატოვა მიწა—ის გრიგალთა ცხელი საპყარი,
პირველ ოცნების თბილი ბუდე—შეუმდინარე,
წარმოიტაცა მზე დროშებით და სავსე მთვარე
და აქ გავრცელდა უტევ მთებში, როგორც ზღაპარი.

გრძელ გზას ფარავდა ლახტი, სისხლი, ცხენთა ფაფარი,
ნასროლ ისართა ხშირი ჩრდილი და გმინვა მწარე.
მოასკდა ბრძოლით, გულს ჩაიკრა ქალწული არე
და დაბანაკდა სამუდამოდ აქ წინაპარი.

თან მოიტანა რკინა, ვერცხლი და ცხელი ქურა,
ველურ ყვავილთა სურნელებით სავსე ვაზები,
ვარსკვლავთ გზის ცოდნა ახალ კერას მან მოასხურა

და გააჩაღა ჩაუმქრალი კოშკ-დარბაზები.
მოვიდა ბრძენი, მეთუნე და ოქრომჭედელი
და უკვდავების ცას მიადგა მან აქ კედელი.

მტკვარი

გადმომლახველი მზიან ზღვართა ვერცხლის შხეფებით
რწყავდა ქართლის გულს ბუცეფალი დაუდეგარი.
მტკვრის ნაპირებით მოიწევდა რომის ცეზარი,
თუმც სდარაჯობდნენ მას ლომები მზიური ფრთებით.

გადაუხატავს მის ჩქარ ტალღებს მქუხარე ხმებით
ალამამადხან, თემურლენგი, ჩინგისხან ფარით.
და ჰყრია ფსკერზე: გადამტყდარი აზიის ტარი,
დაფშვნილი ლახტი, მუზარადი, მამაცთა ხმლები.

აი მდინარე ჩაღვრილ სისხლით, ბევრჯერ გამთბარი,
ბევრჯერაც მსმენელი დიდ მგოსანთა საგალობელის
მქუხარე ხევში და მიმღები ხალისით ბარის,

ქართლდიდებაზე მკლავ გაშლილი მოდის მთხრობელი.
სძინავთ ზვირთებში მოციმციმე მწვანე ვარსკვლავებს
და სამშობლოსთვის დაღუპულთა შიგ ჩაყრილ თავებს.

წამებული

საკუთარ ქვეყნის ტრფობისათვის უღვთოდ აწამეს
და წარუშალეს სანეტარო მას რისხვით ცანი:
დაუსაკუთრეს შემდეგ ტანჯულს ბნელი საკანი,
არ მოტეხია მაინც ცრემლი მის ნაზ წამწამებს.

სულგრძელობით და თავდადებით დასძლია ღამე.
და როს ჯალათმა გამეტებით მოზიდნა თმანი,
მან სიკვდილის წინ დაინახა ქართველი ძმანი
და დაკრულს მახვილს შეაგება მძლე სითამამე.

დაო, დედაო, სანეტარო, ციურო ვარდო,
დამატკბობელო სისპეტაკით, ხელშეუვალო,
წმინდა ლეჩაქო, სამშობლოის ვრცელო ლაჟვარდო!

შენ უსახელო, უმრავლესო, ერთგულო თვალო!
სჩანს წარსულიდან უძლეველი შენი გმირობა,
ვით ბროწეული, გადამსკდარი დიდი ჭრილობა.

სამასი არაგველი

დაიძრა ჩქარი დაფ-საყვირთა ხმა დიდებული,
როს ღია სივრცეს მზის ეკვეთა შუქი ცინცხალი
პირველი სხივი თვით გადასჭრა ერეკლემ ხმალით
და მას თან მიჰყვა შეუპოვრად გმირთა კრებული.

როგორც არაგვი, მთის მეწყერით ადიდებული,
მტერს შეეხეთქა არაგველთა რაზმი ფერხმალი,
მრავალ მათგანის ჩვენს მიწაზე წაშალა კვალი,
ბოლოს სამას გმირს დიდ ბრძოლაში გაუპეს გული.

ჩამოდგა მწუხრი და სიჩუმე. დასრულდა ომი.
მზე კრწანისის ველს მოქანცული სისხლით გასცილდა.
აღარ სდარაჯობს დახრილ დროშას ფრთიანი ლომი

და მხოლოდ მთვარე ფერდაცლილი ანათებს ციდან.
ჰყრია დიდ ველზე დაღუპული სამასი გმირი,
როგორც გრიგალით მოთხრილ მუხის სამასი ძირი.

საქართველოს ხალხური ხელოვნება საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სოციალისტური მეურნეობის დიად მიღწევებთან ერთად გვიჩვენებს საბჭოთა მრავალმხრივი ხალხური შემოქმედების ზრდასა და აყვავებას.

ამ გამოფენაზე ქართული ხალხური ხელოვნება წარმოდგენილია მაღალხარისხოვანი და მრავალფეროვანი ექსპონატებით.

კოლმეურნე ოსტატების მიერ დამზადებული საუცხოვო ნიმუშების გვერდით გამოფენაზე მოცემულია მთელი რიგი პირველხარისხოვანი ექსპონატები, რომლებიც შესრულებულია მხოლოდ ერთი წლის წინათ ხალხური შემოქმედების სახლთან დაარსებულ მხატვრული ექსპერიმენტალური სახელოსნოს ნიჭიერი ოსტატების მიერ.

მიმდინარე წელს ქართველ ოსტატებს თავიანთი შემოქმედებითი ნიმუშები მეორედ გამოაქვთ საკავშირო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე. პირველი მათი გამოსვლა მოსკოვში (1939 წ. თებერვალს) ბრწყინვალე გამარჯვებით დასრულდა. თერთმეტი ქართველი ოსტატიდან, რომელთაც ხალხური ხელოვნების ნიმუშები წარუდგინეს საკავშირო გამოფენას—„ლენინ-სტალინი ხალხურ შემოქმედებაში“, ექვსმა მიიღო საკავშირო ჯილდო და სიგელი.

ამრიგად, ქართული ხელოვნების ნიჭიერმა ოსტატებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს, თუ რაოდენი შემოქმედებითი შესაძლებლობის შემცველნი არიან ისინი მზრუნველობისა და ხელისშემწყობ პირობებში, რაც მათ მხოლოდ და მხოლოდ პარტიამ და ხელისუფლებამ შეუქმნა.

გამოფენაზე უმთავრესად წარმოდგენილია ხალხური ხელოვნების შემდეგი დარგები: მხატვრული ქარგულობა, მხატვრული ქსოვა, ხის კვეთილობა, მოჭედილობა და ამოწვა, ჭედური, გრეხილური, სევადური, აქაქური, ხელოვნება, მხატვრული დაჩითულობა, ძვალზე კვეთილობა და სხვ.

ხის მხატვრული კვეთილობის ექსპონატებს შორის თავისი მაღალხარისხოვანი შესრულებით ყურადღებას იქცევენ საყვარელი ბელადების **ვ. ი. ლენინისა** და **ი. ბ. სტალინის** პორტრეტები, კოლმეურნე ქალი რთველის დროს, განსაკუთრებით-კი სახლი გორში, სადაც დაიბადა **ი. ბ. სტალინი.** აღნიშნული ექსპონატები შესრულებულია ნიჭიერი ოსტატის გიორგი ავალიშვილის მიერ. აღსანიშნავია, რომ ავალიშვილმა ამ ნამუშევრებში, განსაკუთრებით კი პეიზაჟიან კვეთილ სურათებში, დიდი სიმახვილით და თავისებურად გადასწყვიტა პეიზაჟის პერსპექტივის ამოცანები.

საკმაოდ მრავალია (12 ექსპონატი) ხის მხატვრულად ამოწვის ნიმუშები. ამ ხალხურმა ხელოვნებამ საქართველოში განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია. ასეთი ტექნიკით შესრულებულმა ექსპონატებმა საკავშირო გამოფენაზე მიიღეს მაღალი შეფასება, ხოლო ამ ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა საქართველოში—ბ. ჭარელმა, ნ. ტუმასმა და ე. სტასენკომ საკავშირო ჯილდოები და სიგელები. გამოფენაზე წარმოდგენილია ნიჭიერად შესრულებული პორტრეტები, სურათები ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების ორგანიზაციის ისტორიიდან, სურათები თავდაცვის თემაზე, რასაც ენტუზიაზმით გამოეხმაურნენ საქართველოს ოსტატები, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სიუხვის გამომსახველი სურათები.

მაღალი ხარისხით განირჩევიან განსაკუთრებით ხის მხატვრულად მოჭედვის ნიმუშები, ეს ოსტატობა დიდათ იყო განვითარებული ძველ საქართველოში. იმ დროიდან დაგვრჩა რიცხვით მცირე, მაგრამ მაღალხარისხოვანი კულტურული მემკვიდრეობა.

რუსეთის იმპერიალიზმის პოლიტიკის წყალობით, რომელიც ახშობდა ხალხური შემოქმედების ყოველ გამოვლინებას და თავისებურებას, ხის მოჭედვის ხელოვნება დიდ ოქტომბრამდე სულს ღაფავდა და გადაგვარების გზაზე იდგა. თუ რამდენად დამბლა დაცემული იყო ეს ხალხური ხელოვნება, სჩანს იქიდანაც, რომ მას თავისი საამქრო არ გააჩნდა თბილისში, ხოლო ცალკეულ ნიჭიერ ოსტატებს სახლში უხდებოდათ მუშაობა შემთხვევიდან შემთხვევამდე ან პირადი მისწრაფებით.

ამ მხრით მეტად დამახასიათებელია ხის მოჭედვის ნიჭიერი ოსტატის ა. მანუქოვის ან, როგორც იგი ავლაბარშია ცნობილი, ამბუაშვილის ბედი. როდესაც მოთხოვნილება მის საყვარელ ხელოვნებაზე შემცირდა მაშინდელ გადაგვარებულ საზოგადოებაში, მან შემოქმედებითი მუშაობა სახლში განაგრძო, ხოლო ძირითად პროფესიად ყასბობა გაიხადა, რაც იმავე დროს იაფფასებში რქისა და ძვლის (ხის მოჭედვის ძირითადი მასალა) შეძენის საშუალებას აძლევდა. ამრიგად, სახლში თავისუფალ დროს დაამზადა მან ქართული ხის მოჭედილობის საუცხოვო ნიმუშები: კეხი, მათრახი, ჯოხი და სხვ.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ხის მხატვრულად მოჭედვის ორი მაღალხარისხოვანი ექსპონატია გაგზავნილი. ერთია დიდი სინი, რომელიც შესრულებულია ოსტატ მანუკოვის მიერ ოსტატ გ. ხანდამაშვილთან ერთად. ხანდამაშვილს ეკუთვნის ამ სინის ჭედურობა—საქართველოს ღერბი, სინის შუაგულში მოთავსებული, და სოფლის მეურნეობის სიუხვის გამომხატველი ატრიბუტები კიდურებზე. მეორეა ოვალური ფორმის საკალმე. ორივე ექსპონატი მხატვრული ხალხური ხელოვნების დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ნიჭიერადაა დამზადებული მთელი რიგი კვეთილი ნიმუშები (კედლის კარადა, ჩარჩოები და სხვა) გამოცდილ ოსტატ ი. ეფრემოვის მიერ.

საკმაო რაოდენობით (9 ექსპონატი) არის წარმოდგენილი გამოფენაზე ქართული ოქრომჭედლობის მაღალხარისხოვანი ნიმუშები—ჭედურობა: გრეხილური სევადი, აქაქობა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქართული ჭედურობის, ტიხროვან და თლილი მინანქრის ხელოვნებას ტექნიკური მიღწევებისა და მხატვრული სრულყოფის მხრით წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო საგანძურში.

ჯადოქარმა ოსტატებმა ბექა და ბეშქენ ოპიზარებმა (მე-12 საუკ.) ჭედურ ხელოვნებაში მარაგ-გამოულეველი კულტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს, რომელიც დღემდე ჰკვებავს ქართულ ოქრომჭედლურ ხელოვნებას: თვით მე-18 და მე-19 საუკუნეებში, ამ ქართული ხალხური ხელოვნების დაცემის პერიოდში, ჭედურ ხელოვნებას საუკეთესო წარმომადგენლები ჰყავდა საქართველოში. ესენი იყვნენ ბალსარაშვილი, კვეზერელი, ჩხუტიაშვილი, მიხეილ და დავით მამულაიშვილები, ნიკოლოზი, გურჯი, როსტომ გიჟაშვილები, რომელთაც საუკუნეებით განმტკიცებული ტრადიციების საფუძველზე შექმნეს ჭედური ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები.

ამჟამად ამ ოსტატების ღირსეული და ნიჭიერი მემკვიდრეები არიან გ. ხანდამაშვილი, თ. ჯიქია, ფ. ძაძამიძე, ჯაფარიძე, იმედაძე, ჩანტლაძე და სხვ. ამათგან საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას მხოლოდ გ. ხანდამაშვილის (თბილისი), თ. ჯიქიას (თბილისი) და ა. ჯიქიას (აბაშა) ნამუშევრები წარედგინა.

ექსპერიმენტალური სახელოსნოს ოსტატი გ. ხანდამაშვილი ბრწყინვალე წარმომადგენელია ჭედური, აქაქური და მინანქრის რთული ხელოვნებისა საქართველოში. მას ახასიათებს დიდი ოსტატობა და შემოქმედებითი გაქანება, რაც მას უადვილებს ხალხური ხელოვნების ნამდვილი შედევრების შექმნას. ის მთლიანად კლასიკურ მემკვიდრეობას ემყარება, მაგრამ ყოველი მისი ნამუშევარი არის ამ მემკვიდრეობის კრიტიკულად ათვისების ნიმუში, თანამედროვე ყოფა-ცხოვრებასთან შეფარდებით, სტილობრივ მხრითაც, მის ნამუშევარს ახასიათებს კომპოზიციური მკაფიობა და განლაგების სისადავე. ის არაჩვეულებრივად გრძნობს სივრცეს, როგორც დეკორატიულ ობიექტს. ამის შედეგია ის, რომ ყველა მის ნამუშევარში წვრილმანიც კი მთლიანობის განუყოფელ ელემენტს შეადგენს. ამ მხრივ დამახასიათებელია მის მიერ შესრულებული სამი ექსპონატი: ჭედური კოლოფის ხუფი კოლმეურნისა და კოლმეურნე-ქალის გამოსახულებით, სასოფლო-სამეურნეო სიუხვის ატრიბუტებში გაშლილი, ორი თეფში კოლმეურნისა და კოლმეურნე-ქალის გამოსახულებით. ცენტრალური ფიგურების გარშემო მოხდენილად ჩაქსოვილია მცენარეული და ყვავილოვანი ხვეული ჩუქურთმები. აღნიშნული ექსპონატები ხალხური ხელოვნების ნატიფობის იშვიათ ნაყოფს წარმოადგენენ.

ზოგიერთი ექსპონატი შესრულებულია ოსტატ თომა ჯიქიას მიერ გ. ხანდამაშვილთან ერთად. ჯიქია არის მთელი რიგი რესპუბლიკური გამოფენების, აგრეთვე პარიზის 1937 წლის საერთაშორისო გამოფენის მონაწილე. ცნობილი თბილისელი ოსტატის ასათიანის მოწაფე, ჯიქია, ოსტატ ძაძამიძესთან (ზუგდიდი) ერთად, ითვლება გრეხილური და სევადური ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლად საქართველოში.

ამ ოსტატს ტექნიკურ მიღწევებთან ერთად ახასიათებს მხატვრული ზომიერება და მახვილი ალღო. მის ნამუშევარს შორის გამოფენაზე გამოირჩევა შოთა რუსთაველის სევადური პორტრეტი, გრეხილური არშიით შემოვლებული კოლოფი და სხვ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ მხატვრული ქარგულობისა და ქსოვის ნიმუშები, მათ შორის ამბროლაურის რაიონის სოფელ ქვედაშავრის კოლმეურნე-ქალის ნინო კიკვიძის მიერ შესრულებული ქარგული სურათი: „ტარიელი წყლის პირად“. საინტერესოა, რომ კოლმეურნე ოსტატმა თავისებურად გამოიყენა მხატვარ ზიჩის ანალოგიური სურათი. ქარგულ სურათში ძირითადად ტარიელი და მისი ტაიჭი, დარჩნენ უცვლელად. სხვაფრივ მოცემულია რაჭის პეიზაჟი და ბუნება, რაც ოსტატის თვალწინ იყო გადაშლილი. სურათი ტექნიკურადაც უნაკლოდ არის შესრულებული, ეგრეთ-წოდებული ირიბული კერვით.

ბლომადაა გამოფენილი ჩვენი კულტურისა და ყოფა-ცხოვრების ქარგული ნიმუშები — სუფრები, დორები, ფარდები, ხალათები და სხვ.

ექსპონატები უმთავრესად შესრულებულია მხატვრული ექსპერიმენტალური სახელოსნოს ნიჭიერი ოსტატებისა და ქარგლების მიერ. ესენი არიან: თ. გედევანიშვილი, ა. ჯანდიერი, მ. წერეთელი, ა. ბუხიაშვილი, ე. სამუნჯიანი, თ. ზულიაშვილი, ე. ჩურუა, ე. გოგუა, ქ. ტიკაძე და სხვანი. ეს ნიმუშები მხატვრული ქარგული ხელოვნების ძვირფას განძს წარმოადგენენ, როგორც სტილობრივად, ისე, რაც მთავარია, მოხდენილი შეფერადების მხრითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია დორი, ოქრომკედით და ნაირფერი აბრეშუმის ძაფებით მოქარგული, სუფრა, რომელზედაც ცენტრალურ ჩუქურთმებში მონადირე და შველებია გამოსახული, ფარდები, სტილიზებული ჩიტების და ცხოველების გამოსახულებით.

ეს ექსპონატები იმ მხრითაც არიან საინტერესონი, რომ მათი შესრულების დროს გამოყენებული და აღდგენილ იქნა კერვის მთელი რიგი ტექნიკური მიღწევები, რაც ჭარბად მოიპოვებოდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობაში, მაგრამ მივიწყებული იყო. ამჟამად ექსპერიმენტალურ სახელოსნოში მიმდინარეობს მათი შესწავლა და აღდგენა.

მაღალ დონეზე იდგა საქართველოში მხატვრული ქსოვა. ამ დარგში ჩვენ მოგვეპოვება უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობა. სახელოსნოს ოსტატებს დიდი მუშაობა აქვთ ჩატარებული ამ ხელოვნების ათვისებლად და აღსადგენად. ჯერ-ჯერობით გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ფერადი ძაფებით მოქსოვილი ექსპონატები—ქალის ქისები, ხურჯინის ქისები, სარტყლები და სხვები, რომლებიც ნიჭიერი ოსტატების — თ. გედევანიშვილისა და ა. ჯანდიერის ხელმძღვანელობით შესრულა ცნობილმა ოსტატმა ს. ჩერქეზიშვილმა, აგრეთვე ახალგაზრდა კადრებმა—მ. წერეთელმა, ს. ელისაშვილმა, ა. ბუხიაშვილმა, არის საუკეთესო, რაც კი არსებობს ამ დარგში კავშირის მასშტაბით.

მაღალმხატვრულ ღირსებებთან ერთად ამ ექსპონატებს ახასიათებს ტექნიკური სრულყოფილობა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ერთი მოზრდილი ექსპონატი, დაჩითულობის ტექნიკით შესრულებული. იგი გამოსახავს რთულ სურათს—ციტრუსების რთველს ზღვის ფონზე. ექსპონატი ეკუთვნის თბილისელ ნიჭიერ ოსტატს ა. კარიკოვას და გაძლიერებულ ინტერესს იწვევს, ვინაიდან დაჩითული სურათი საერთოდ ძალზე იშვიათი მოვლენაა.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე სპილოს ძვალზე კვეთილობით შესრულებული შოთა რუსთაველის პორტრეტი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ოსტატს, 1937 წლის პარიზის საერთაშორისო გამოფენის მონაწილეს გ. დევკანცს (თბილისი).

ამრიგად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე წარდგენილ საქართველოს ხალხური ხელოვნების ნიმუშებს შორის სჭარბობს მხატვრული ექსპერიმენტალურ სახელოსნოში ჩაბმულ ნიჭიერ ოსტატთა და ქარგალთა მიერ შესრულებული ნამუშევარი. აღნიშნული სახელოსნო ერთად-ერთი კერაა საქართველოში, სადაც გაცხოველებული შემოქმედებითი მუშაობა სწარმოებს ქართული ხალხური ხელოვნების ყველა დარგის აღსადგენად და ღირსეული ცვლის—ახალგაზრდა კადრების—აღსაზრდელად. სახელოსნო დაარსებული და შემოქმედების ასპარეზზე გამოყვანილია ქართველი ხალხის საყვარელი შვილის **ლავრენტი ბერიას** მითითებით. ერთი წლის მუშაობამ ცხადჰყო, თუ რაოდენის გაკეთება შეიძლება ამ მიმართულებით საქართველოში, სადაც ხალხური ხელოვნების თერთმეტი ძირითადი დარგია შემონარჩუნებული, რომელსაც ესაჭიროება თანდათანობით გამოვლინება და აღდგენა, რომ მათ დაუბრუნდეთ აყვავების პერიოდის შარავანდედი.

პარტიისა და ხელისუფლების მიერ შექმნილ ხელშემწყობ პირობებში უზრუნველყოფილია ქართული ხალხური ხელოვნების ყველა დარგის აღორძინება.

არ. გაბუნია



საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა. სურათზე: სახლი გორში, სადაც დაიბადა დიდი **სტალინი**, სურათი ამოჭრილია ხეზე გ. ავალიშვილის მიერ.

საბჭოთა პატრიოტიზმი და ქართული პოეზია

ალ. სულავა

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა უდიდესი ადამიანური ძალაა. იგი უპირველეს ყოვლისა ნამდვილი ხალხური გრძნობაა. საუკუნეების განმავლობაში ამ გრძნობით იცავდნენ თავიანთ თავს ხალხები დამპყრობელთა ძალადობისაგან. ვინ მოსთვლის გმირული თავდადების რამდენი სახელოვანი ფურცელია ჩაწერილი ჩვენი ხალხის ისტორიის ანალებში სამშობლოს მიწის დასაცავად? სამშობლოს წმინდა სიყვარულის გრძნობა ხალხის ნამდვილი კუთვნილებაა, მისი წმინდათა-წმინდაა. ისტორია სავსეა მჩაგვრელი გაბატონებული კლასების მიერ ხალხის წინაშე ღალატისა და გამცემლობის მაგალითებით. სწორედ ამან ათქმევინა საფრანგეთის რევოლუციის დიდ მოამაგეს, ხალხის მეგობარს მარატს: ღარიბთა კლასი პატრიოტთა ერთად-ერთი კლასიაო.

ბურჟუაზიის ბატონობის მთელი ისტორია ხალხისა და სამშობლოს ღალატის შავი მატიანეა, ბურჟუაზია ვაჭრობდა და ვაჭრობს პატრიოტიზმითაც. მჩაგვრელი კლასების „პატრიოტიზმი“ სიყალბის „პატრიოტიზმია“, ხალხის ჩაგვრისა და მოტყუილების საშუალება.

ნამდვილი პატრიოტიზმი ყოველთვის ხალხის გულში ინახებოდა, მის გულში ათევდა ღამეს, და როდესაც მოთმინების ფიალა ივსებოდა, ცეცხლოვან ძალად იქცეოდა და მთებს სძრავდა. პატრიოტიზმის გრძნობა აბრძოლებდა ხალხს არა მარტო უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ, არამედ შინაური მტრების წინააღმდეგაც. განა ხალხისა და სამშობლოს სიყვარული არ ამოძრავებდა გემ „ავრორას“ რუს მეზღვაურებს, როდესაც „ზამთრის სასახლეს“ ყუმბარებს უშენდნენ და ახალი საუკუნის დაბადებას აუწყებდნენ კაცობრიობას?

პატრიოტიზმის გრძნობას ყოველთვის მძაფრად განიცდიდნენ ხალხი და მისი საუკეთესო შვილები. ამიტომ იყო, რომ დობროლიუბოვი ბერანჟეს პოეზიის შეფასების დროს მისი პოეზიის „მაღალ და წმინდა მოვალეობად“ სთვლიდა იმას, რომ ბერანჟეს სიმღერებში სამშობლოზე ჩაქსოვილი იყო ხალხისადმი სიყვარული. ნამდვილი პატრიოტიზმი იქ არის, სადაც სამშობლოსადმი სიყვარული ხალხის ინტერესების სიყვარულთანაა გადაჯაჭვული.

არცერთს ეპოქაში არცერთი ხალხი არ განიცდიდა სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობას ისეთი სიძლიერით, როგორითაც განიცდის საბჭოთა ქვეყნის ხალხი. არსად დედამიწის ზურგზე სიტყვა სამშობლო არ გაისმის ისე ამაყად და ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც ჩვენს ქვეყანაში, რადგან აქ განხორციელებულია ის იდეალები, რომლებზედაც საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ თავისუფლებას მოწყურებული ხალხები და მათი საუკეთესო შვილები. საფრანგეთის რევოლუციის სულიერი მამა ჟან-ჟაკ რუსო სწუხდა, რატომ ისეთ ქვეყანაში არ დავიბადე, სადაც ხელისუფლების უმაღლესი ხელმძღვანელნი და ხალხი არ იქნებოდენ ერთმანეთს გათიშულნი და სადაც სახელმწიფოს მიზანი საერთო ბედნიერება იქნებოდაო. და განა მარტო რუსო ოცნებობდა ასეთ საკაცობრიო ბედნიერებაზე? ასეთი ოცნება საუკუნეების განმავლობაში არ სცილდებოდა კაცობრიობის აზროვნებას, მაგრამ მისი განხორციელება წილად ხვდა საბჭოთა კავშირის გმირ ხალხს.

საბჭოთა კავშირი კაცობრიობის უბრწყინვალესი იდეალების განხორციელებული ტრიუმფია. არცერთ ხალხს დედამიწაზე ჯერ არ ახსოვს ისეთი ბედნიერება, როგორიც მოპოვებული აქვს საბჭოთა ხალხს. არცერთ ხალხს არ ახსოვს ისეთი დიადი ბელადები, როგორიც **ლენინი** და **სტალინია.** ეს ნამდვილი ხალხური ბელადები, ხალხის მიერ დიდების შარავანდედით შემოსილი, საბჭოთა პატრიოტიზმის უდიდესი შთაგონების წყაროა. **ლენინ-სტალინის** პარტიამ გამოიყვანა საბჭოთა ხალხი ისტორიის ახალ სარბიელზე და აამოძრავა იგი ბედნიერი ცხოვრების შესაქმნელად.

საბჭოთა სინამდვილემ შესცვალა ძველი პოეზიის მწუხარების მოტივი. სადაც საბჭოთა ხალხია, იქ სიხარულია, ბედნიერებაა, გმირობაა. ეს ჩვენი საბჭოთა ცხოვრების ნიშანდობლივი თვისებაა. იგი მოპოვებულია **ლენინ-სტალინის** პარტიისა და ხალხის მიერ იდეური ერთიანობის საფუძველზე. ისტორიაში არასდროს ადგილი არ ჰქონია ასეთ მოვლენას. ეს მხოლოდ მოწინავე ადამიანების ოცნების საგანი იყო და ეს ოცნება სინამდვილედ იქცა ჩვენს ქვეყანაში და პირველად ისტორიაში ხალხს მიეცა თავისუფალი ცხოვრების უფლება.

ამ უფლებისათვის უმართავდნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას რუსული ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლები თვითმპყრობელობას. ამ უფლებისათვის აღვივებდნენ განმათავისუფლებელ იდეებს „ხალხთა საპყრობილის“ პირობებში მოქცეული ჩაგრული ხალხის მწერლები. თვითმპყრობელობასთან ბრძოლის ამ ფონზე უძლიერეს ფიგურებად მოსჩანან ქართული ლიტერატურის სიამაყენი — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი და სხვები. ქართული ლიტერატურის ისტორია უბრწყინვალესი მაგალითია სამშობლოს განთავისუფლებისათვის ბრძოლისა. ილიას სწამდა, რომ დადგებოდა ,დრო ძველი ქვეყნის განადგურებისა:

„ვეღარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლას,
ვეღარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას“,—

სწერდა იგი მომავლის ღრმა რწმენით ამეტყველებული. აკაკი წერეთლის მთელი პოეზია უდიდესი პატრიოტული წყვა სამშობლოს ბედზე. იგი აკაკის ეხატებოდა ხან ნესტან დარეჯნად, ხან ლეჩაქ - შემოხვეულ სატრფოდ. მაგრამ იმედს არასდროს არა ჰკარგავდა: „არ მომკვდარა, მხოლოდ სძინავს და ისევ გაიღვიძებს“-ო, სწერდა ამ იმედით გაცისკროვნებული.

„არა! აყვავდეს იმედი!..
გულს ვერ გამიტეხს ჰალარა!..
გმირებს დაეძებს... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა“.

აკაკი გმირებს მოუხმობდა საბრძოლველად და ნატრობდა, მტრების სისხლში შეღება თავისი ჰალარა. შურისძიებისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ აკაკის პოეზიას განსაკუთრებული ძალა მისცა, მან დედის რძესავით შეაყვარა ქართველ ხალხს სამშობლო და გაუღვივა რწმენა მის მომავლისადმი.

ეს საშინელი ხანა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში, მაგრამ იგი გაცისკროვნებულია აკაკის პოეტური იმედების ნაპერწკლებით. ეს იმედები გამართლდა, ხალხი აღსდგა და აღორძინებული სამშობლო უჩვეულო ბედნიერებას ეზიარა. არავინ არ სდევნის ეხლა მის შვილებს, არავის არ უხდება ერთი მუჭა სამშობლო მიწის წაღება შორეულ ციმბირისაკენ, რომ სიკვდილის ჟამს გულზე დაიყაროს, როგორც ეს აწერილი აქვს ერთ თავის საუკეთესო მოთხრობაში („მიწაა“) შიო არაგვისპირელს. ისტორიის ახალმა რევოლუციურმა ფურცელმა უდიდესი ბედნიერება არგუნა ქართულ მწერლობას. მის პატრიოტულ გზნებაში გარკვეულია არა ცრემლი და მწუხარება, არამედ წმინდა სიხარული მშობლიური ხალხისადმი, სამშობლო მიწისადმი. წარსულისათვის დამახასიათებელი გოდების პოეზია საბჭოთა ცხოვრებამ შესცვალა სიხარულის, ბედნიერებისა და წინსვლის პოეზიით. ამ გრძნობითაა შთაგონებული ჩვენი საბჭოთა მწერლობა, რომლის პატრიოტული ხმა უპირველეს ყოვლისა ბრწყინვალე შარავანდედით მოსავს იმ ადამიანის სახელს, ვინც ხალხთა დიდი ხნის ოცნება ბედნიერების სინამდვილედ აქცია. ეს ადამიანია დიდი **სტალინი.**

„ხალხო, ქართველო, გამარჯვებულო,
მე შენს სიხარულს ვხედავ პირცხადად“.

ამბობს პოეტი გიორგი ლეონიძე და ქართველი ხალხის ამ ბედნიერებას, ამ ბედნიერების დიდ შემოქმედს უძღვნის იგი პოეტური სიუხვით აღსავსე დიდებას. ასეთია სწორედ მისი ლექსები ჩვენი ქვეყნის დიდ ბელადზე. ასე გამოსთქვამენ საბჭოთა პოეტები სოციალიზმის სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას.

ქართველი ხალხის ერთი უნიჭიერესი პოეტი გ. ტაბიძე ასე გამოხატავს ჩვენი სამშობლოს უძლეველობას:

„ულევი— დროს ეუფლება
ვეფხვთა ნიჭი და გენია,
უმაღლეს თავისუფლებას
სამშობლო აღუდგენია.
და ხანა უხვად ამდიდრებს
არნახულ ბედნიერებას:
ჩანგს, მახვილ კალმებს, პალიტრებს,
სიმღერას, მეცნიერებას“.

ამ სიმღერისა და ბედნიერების გამომსახველი ტილოებია მისი „ეპოქა“, „რევოლუციური საქართველო“ და სხვა ლირიკული ლექსები.

ახალი, მდიდარი საბჭოთა ცხოვრების რა მოვლენასაც არ უნდა ეხებოდნენ პოეტები, მათი ფიქრები და განწყობილებები გაჟღენთილია გამარჯვებათა პათოსით, სიამაყისა და აღტაცების გრძნობით. ხატავენ ისინი დაღამებას თუ გათენებას ტფილისში, ხერთვისის განთიადებს, ახალ ნარიყალას, კახეთის შემოდგომას, ოდიშის პლანტაციებს, კოლმეურნის ეზო-კარმიდამოს თუ კოლხიდის დილას, — ყველგან გამოსჭვივის ახალი გრძნობა, სამშობლოს სასიხარულო ჰიმნი. უნაზესი გრძნობების პოეტური სახეებით მოქარგულ ლექსებში საბჭოთა პოეტები ჰიმნს უმღერიან ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ თბილისს. ახალი თბილისი განახლებული სამშობლოს სადიდებელ სიმბოლოდ გადაიქცა. პოეტი ი. გრიშაშვილის „თბილისი“, „გრიგოლ ორბელიანი ახალ ნარიყალაზე“, „სამშობლოსადმი“ ამისი მაჩვენებელია:

„ეს მთა ჩემია! ეს ხე ჩემია!“—
მე ვიმეორებ ყოველ ცისმარე.
სხვის მიწის ხვავი არა გვჭირდება,
ჩვენ საკუთარი ჩვენიც ვიკმარეთ.
„ეს მთა ჩვენია! ეს ხე ჩვენია!“—
მე ვიმეორებ ყოველ განთიადს,
თუ კი რამ კარგი გადამრჩენია
ისიც სამშობლოს დროშად ანთია“.

ასე აზროვნებს საბჭოთა პოეტი და მისი სიყვარული საბჭოური სიყვარულია. თითქოს დიდ ილიას ნაღვლიანი მოტივის „მამულო საყვარელო, შენ როსღა აყვავდები“?-ს საპასუხოდ დაუწერია საბჭოთა პოეტს:

„გაზაფხულია! მოდის მაისი,
სურნელს მოაფრქვევს ბაღში, ყანაში,
მოდის ქართული სიდარბაისლით,
გაზაფხულია ჩემს ქვეყანაში!“

სიამაყის გრძნობა, რომელიც ა. მაშაშვილის ამ საუკეთესოდ ნათქვამი პოეტური სტრიქონებიდან გამოსჭვივის, ჩვენი ქვეყნის სინამდვილის ანარეკლია. პოეტის გრძნობას ახალისებს არა მარტო ბუნების გრძნობა, არამედ ის, რომ ბუნების ზეიმი ხალხის გაზაფხულია, რომ „ცის ფირუზოვან სილაჟვარდეში ქვეყნის ღიმილი გამოსახულა“, რომ „მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, (კაფიროსმანის დახატულია“. ა. მაშაშვილის ერთი საუკეთესო ლექსი „სამშობლო ბელადისა“ ახალი საბჭოური პატრიოტიზმის უძლიერესი ლირიკული გამოხატულებაა. პოეტი ახალი საქართველოს ბედს დიდი ბელადის იდეების გამარჯვებას უკავშირებს:

„შენი ღიმილი დაიწნა მხარეს,
პირ-აყვავებულს მთებით, მდელოთი,
დღეს საქართველო შენით ამაყობს
ეხაროთ ახალი საქართველოთი“.

სიამაყის გრძნობა და ქვეყნის განახლების სიხარული მთის ჩანჩქერივით მოსჩქეფს ს. ჩიქოვანის ლირიულ ლექსებში. პოეტის ყოველი სახე გამიზნულია ამ ახალი საბჭოური გრძნობის გამოსახატავად. აღწერს იგი ახალი თბილისის პეიზაჟს თუ მესხეთელ მწყემსთან შეხვედრას, — ყველგან გამოხატავს სამშობლოს ბედნიერებას, მისი სიმდიდრის, საამური ცხოვრების გრძნობას. იგი პოეტური სიმძაფრით ამეტყველებს ახალი ყოფის მოვლენებს: სოფლად საკოლმეურნეო ჭირნახულის შემოსვლას, თბილისის ზღაპრულ ზრდას, რომლის სილამაზე მასში ჰბადებს სურვილს — ტკბილად აახმაუროს იგი თავის ლექსებში და როგორც თვითონ სწერს: „და ტკბილი სიტყვით, როგორც ჰაფიზი, თბილისის ღამეს ავახმიანებ“. იგი მართლაც ახმიანებს დედა-ქალაქის აყვავებას ღრმა ლირიკული განცდებით:

„მთაწმინდის კერა ხალხის გენიას
აუტყორცნია როგორც ფრანგული.
მთის ბრწყინვალება აღუდგენია
ქართულ ხეებით ამოქარგული,
ბაღად დამდგარა ჩვენი ოცნება,
მთაზე ასული, როგორც მთიული, —
მთის ფუნიკულური გამოცოცხლება
და ცის ლაჟვარდი მარადიული“.

თუ რომელიმე ქართველი საბჭოთა პოეტი მთელი თავისი არსებით განიცდის ახალი საქართველოს დაბადებისა და ბედნიერების სინამდვილეს, მათ შორის ერთ-ერთი პირველთაგანია პოეტი ილო მოსაშვილიც. ეს განცდა მისი უკანასკნელი ლექსების ლეიტმოტივია. ეს ლექსებია „ბელადს“, „ჩემო სამშობლო“, „სიცოცხლე მართლა სიხარულია“, „სიმღერის დაბადება“ და სხვ. ეს ლექსები ნამდვილი პატრიოტული განწყობილების გამომხატველი პოეტური ნიმუშებია. ი. მოსაშვილიც აღსავსეა სიამაყის იმ გრძნობით, რომ მისი სამშობლო ბელადის სამშობლოა. სადაც სიცოცხლე სამურია, საქართველოს ეს ბედნიერება პოეტს ეხატება, როგორც დიადი ზაფხული:

„დღეს გახსენი თავიდან
მატიანე უცვლელი,
შენი დიდი ცხოვრების
ეს უკვდავი ფურცელი,
შენი ყველა ზაფხულის
ეს დიადი ზაფხული“.

საქართველოს ბედნიერება ჩვენი ლირიკული პოეზიის ერთ საუკეთესო ოსტატს ირაკლი აბაშიძეს ეხატება დიდ გაზაფხულად. ამ გაზაფხულზე ფიქრი ხალხის საუკუნოებრივი ოცნება იყო. პოეტის თქმით „მასზე კვნესოდა ყველა დაჭრილი და გაყოლილი თათრის ხომალდებს“. მაგრამ ხალხმა მაინც დაიხსნა ეს გაზაფხული „და საქართველო რა ხნის მკვნესარი დიდ გაზაფხულის დღით გაახარა“. პოეტურად საუკეთესოდ ჩაფიქრებულ ამ ლექსში ი. აბაშიძე მძლავრად გამოსთქვამს იმას, რაც ჩვენი ეპოქის ჭეშმარიტებაა, რაც ჩვენი სამშობლოს სიყვარულის სათავეა, მისი უძლეველობის რწმენაა. ეს ხალხთა ბედნიერი გაზაფხული ჩვენი ქვეყანაა, და პოეტი უნაზესი ფერებით ხატავს და ადიდებს მას. ამ დიდების საუკეთესო ნიმუშია „დიდი გაზაფხული“. ამ გაზაფხულის მეოხებით, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ:

„მზეს მზე დაერქვა, ვარდებს ვარდები,
კაცს დაუბრუნდა კაცის სახელი,
მან დაასრულა ცეცხლად ნადები
საუკუნეთა გულში ნაღველი.
გაზაფხულია,
რად არ მიყვარდეს
მისი გაჩენა, დღე და აპრილი,
მის მობრძანებას, მზეს და მის ვარდებს
ვემბორები წინ თავდახრილი“.

ასე გამოხატავენ ჩვენი საბჭოთა პოეტები საბჭოთა ქვეყნის სიდიადეს და სიმშვენიერეს, საბჭოთა ხალხისა და მისი ცხოვრების სინამდვილეს. ასე გამოსთქვამენ ისინი საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების უმაღლეს გრძნობებს.

დაჭრილი მეომარი*)

სიმ. ჭვერავა

ბრძოლის ველზე მარტოდ-მარტო დარჩენილ სანდროს აწუხებდა, ერთის მხრივ, დაჭრილი მუხლისა და მკერდის ტკივილი, მეორეს მხრივ—გახურებული ბრძოლის დროს ასეულისაგან ჩამოშორება. ძნელი ყოფილა მეომრისათვის შეტევისას უქმად ყოფნაო, — ამბობდა ის თავისთვის, მაგრამ იმედს მაინც არ ჰკარგავდა: — სანიტარულ პუნქტამდის მივალ, ერთ-ორ დღეში მოვაშუშებ ჭრილობებს და ჩემს წილს ბრძოლაში მაინც ვირგებო.

როცა სანდრო ამგვარად ესაუბრებოდა თავის თავს, პავლუშას ასეული კარგა შორს გადაეყვანა იერიშზე. შორიდან ისმოდა კანტი-ცუნტი სროლა შაშხანებისა, რაც იმის მანიშნებელი იყო რომ მთავარი შეტევა დასრულებული იყო.

სანდრო ბრაზობდა: რადა მაინცდა მაინც მუხლში მეცა ტყვია, სხვა ადგილი ვერ მონახა, ასე ჩოჩვით და ბორძიკ-ბორძიკით როდის მივაღწევო საექიმო პუნქტს, — ნერვიულობდა და თვალწინ სულ ბრძოლა ეხატებოდა.

იმ ადგილას, სადაც ახლა იყო, მტრის მზვერავები დამშეული მგლებივით დაძრწოდნენ. მოჰკრა თუ არა თვალი მათ, მარჯვენა ხელი ყუმბარაზე იტაცა, ხოლო მარცხენათი მიწას დაებჯინა, რომ გვერდზე დაწოლისას დაჭრილი მუხლი არ დაერტყა და ოდნავ მიყუჩებული ტკივილი კვლავ არ განახლებინა. რამდენიმე წუთს იყო ასე სულგანაბული. შემდეგ თავი წამოსწია, მაგრამ მალე ისევ ჩაღუნა: სამი იაპონელი ჯარისკაცი სულ ახლოს დახოცილებს ათვალიერებდა. ზოგს ფეხით გადააბრუნებდნენ გულაღმა, ზოგს წყლიან თვალებში ჩახედავდნენ, ზოგს კი უკან გადაგდებულ თავს წამოუწევდნენ, თითქოს მოკლულთა აღრიცხვას აწარმოებენო. ნამდვილად კი სახელგანთქმული პოლკოვნიკის გვამს ეძებდნენ, წუხანდელი შეტევის დროს რომ დაჰკარგა იაპონიის დივიზიამ.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ სანდროს, მით უფრო ღელავდა, შფოთავდა და თვალს არ აშორებდა იგი.

ამ დაძაბული მდგომარეობის დროს მას თავისი გულისა და ფიქრის უნაზესი მეგობარი და მესაიდუმლე მოაგონდა. სანდროს მოეჩვენა, თითქოს ირინემ გაბრწყინებული სახით თვალებში შემოანათა, სიცოცხლე იმაზე უფრო ტკბილია, ვიდრე შენ გეგონაო აქნობამდის.

ამ ხმას მეორე ხმა შეუერთდა, მასზე უფრო მიმზიდველი და მასზე უფრო საყვარელი: ვაჟკაცო სამშობლოს გულისათვის, კარზე მომდგარი მტერი დახოცილებს მიუმატეო.

რადგან მზვერავები ყოველ მოკლულს სინჯავდნენ, სანდრომ იფიქრა: ჩემამდისაც მოაღწევენ და ამიტომ მზად უნდა ვიყო შებრძოლებისათვისო.

წელზე ხუთი ხელყუმბარა ეკიდა. რევოლვერიც თან ჰქონდა. ეს ძალას და იმედს მატებდა. ვაგლახად თავს არ წაიხდენდა.

მათი მიახლოებისას სანდრო უცნაურმა ფიქრმა შეიპყრო... ხელი ინსტიქტურად გაიცოცა ყუმბარის სახელურისკენ, მომართა, ჩვეულებისამებრ მარცხენა თვალი მოხუჭა და ყუმბარა იმ ანგარიშით გაისროლა, რომ ფეხებში თუ არა, ერთი მეტრის ახლოს მაინც აფეთქებულიყო, ანგარიში შეუმცდარი აღმოჩნდა. სანდრომ დაინახა ცაში აფრენილი მკლავები და ფეხები.

ასეულის უფროსმა სანდრომ, პირველი შეტევა რომ მოათავა, თავისუფლად ამოისუნთქა.

ასე იყო დაღამებამდის.

⁂

დღისით სიარული საშიში იყო, ამიტომ სანდრომ გადასწყვიტა, ევლო მხოლოდ ღამით.

იმ ღამეს მუხლი ძალზე ასტკივდა, ამიტომ დიდის ვაივაგლახით და მუცელზე ხოხვით რაღაც ერთი კილომეტრით წაიწია წინ. გათენებისას ხასანის ტბის ნაპირთან აღმოჩნდა. ძალიან მოეწონა ლაქაში ბალახით და ხშირი ლერწმით შემოსილი ნაპირები, გადასწყვიტა—მთელი დღე აქ დარჩენილიყო. რბილი და ნამიანი ბალახი მალამოსავით ამშვიდებდა, მაგრამ ორი დღის უჭმელს და უსმელს შიმშილ-წყურვილი აწუხებდა. განსაკუთრებით წყურვილი სტანჯავდა და ტბას რომ ხედავდა, ხან ფშრებოდა და გახელებამდის მიდიოდა. შიმშილის დასაცხრობად ბალახს თუ შესჭამდა, თორემ სხვა არაფერი იყო.

უძილობამაც ახლა შეუტია, თავი ხან წინ გადაუქანდება და ხან უკან, თითქოს კისერზე არ ებას და თავის თავად მოძრაობდესო. დაძინება საშიში იყო, მაგრამ უფრო ძნელი აღმოჩნდა მოთმინება და გაძლებაც. ამ მდგომარეობაში მყოფმა, შამბნარივით გაბარდნულ ლერწამში სანგარი გათხარა, შიგ ჩაჯდა და თავზე ბალახი გადაიფარა. თუ საგანგებოდ არ ეცოდინებოდა კაცს, ახლოსაც რომ ჩაევლო, მის სამყოფელს ვერასგზით ვერ მიაგნებდა.

ერთხანს არ შეეპუა უძილობას, მაგრამ რომ ვერ გაუძლო, ფარხმალი დაყარა, დანებდა და თვალები მოხუჭა.

ღრმა ძილში იყო, როცა ზარბაზნების საშინელი გრიალი და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი კაკანი შემოესმა. ყუმბარები ტბაში სკდებოდა. საოცარი სანახავი იყო ტბა, ვულკანივით მაღლა ისროდა ღველფსა და ტალახიან წყალს.

ამ გამძაფრებული სროლის დროს ტბის ნაპირიდან მოისმა ბალახების უცნაური შარი-შური. მას მოჰყვა დაბალი ხმით გაცემული ბრძანება: „ოცეულო, ტბაში შედი!“.

ხმა ნაცნობი იყო. სანდრომ ბალახი გადასწ-გადმოსწია და საკუთარი თვალით დაინახა, რომ მისი ასეულიდან ქვევითი და სატყვიამფრქვევო ოცეულები პავლუშა ერშოვისა და ვლადიმერ გრებენშჩიკოვის მეთაურობით ნაპირ-ნაპირ მიდიოდნენ მტრის საარტილერიო ცეცხლის ქვეშ.

ისეთ სიხარულს, როგორიც სანდრომ იგრძნო, იშვიათად განიცდის კაცი. ტკივილები სულ დაავიწყდა. საფარიდან ამოსვლა განიზრახა. ძველებურად უნდა გაუძღვეს ასეულს წინ, ყუმბარა ხელში შემართოს და იერიშზე გადავიდეს, მაგრამ პირველ ცდისთანავე წელი ზევით არ აჰყვა, ცალი ფეხი სულ დაუდუნდა. მაშინ მუცლით გადმოხოხება დააპირა, მაგრამ მარჯვენა მკერდში რაღაცამ ისე გაჰკრა, ეგონა, ნაღველი ჩაექცაო. ასეთი ტკივილი მას პირველი დაჭრის დროსაც არ უგრძვნია. სახე დაეღმიჭა. თავი ძლივს შეიმაგრა, რომ ძირს არ დავარდნილიყო. უნდოდა ძალა მოეკრიფა და დაეყვირა: ბიჭებო, აქა ვარ, მოდით და მიშველეთო, მაგრამ ერთბაშად თავში გაუელვა: ვაი თუ ასეულის მთელი ყურადღება მე მივიქციო და ბრძოლაში ხელი შევუშალოო. ეს ფიქრი აწუხებდა, ამიტომ თავს იკავებდა, სულ გაირუნა, ერთს ადგილას გაქვავდა. სუნთქვაც შეიკავა, სული განაბა და მხოლოდ სმენად გადაიქცა.

მალე მის თვალწინ ასეთი სურათი გადაიშალა: გუშინდელი შეტაკების შედეგად დამარცხებული მტერი მაშველი ჯარის შემწეობით მეორე მაღლობზე გამაგრებულიყო. სანდროს ყოფილ ასეულს, რომელსაც ახლა პავლუშა ერშოვი მეთაურობდა, ბრძანება მიეღო—ყოველივე ღონე ეხმარა, სამურაები ამ მაღლობიდანაც განედევნა, ზედ წითელი დროშა აეფრიალებინა, და მაღლობთან მისასვლელები ხელუხლებელი გაეხადა. ამოცანა ძნელად შესასრულებელი იყო. აქაც, როგორც გუშინ, ალყა უნდა შემოერტყათ გორაკებისათვის.

როცა ერშოვმა ოცეულები დაძრა, ლერწმით დაფარული ჭაობებიდან ადგილებს იაპონელებმა ზარბაზნები და ტყვიამფრქვევები დაუშინეს. ეს ტყვია სეტყვასავით მოდიოდა. გზაზე ასეულებს წყალი შეხვდათ. უკან არ დაუხევიათ. ჩოქი-ჩოქით მიიწევდნენ წინ. პატარა წყალი რომ განვლეს, კარგა მოზრდილ ტბას წააწყდნენ. ტბამ დიდი ტანჯვა განაცდევინა ასეულს; როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ მტრის ცეცხლი მოქმედებდა. პირდაპირ უნდა ევლოთ, გადახვევა არ შეიძლებოდა. ამან ძალიან დააფიქრა პავლუშა. მან ახალი გადაწყვეტილება მიიღო. ასეული ტბაში შეიყვანა. წყალი მკერდამდის სწვდებოდა მებრძოლებს, მაგრამ მაინც სიღრმისკენ მიიწევდნენ. ამას რომ ხედავდა საფარში ჩამალული სანდრო, საშინლად ღელავდა, მოთმინება ეკარგებოდა, უნდოდა დაეყვირა: ხომ არ გაგიჟდი, კომისარო, შვილივით გამოზრდილ ბიჭებს ტბაში რომ მიხრჩობო. მაგრამ ამ დროს პავლემ ბრძანება გასცა, სვლა შეეჩერებინათ.

სანდროს ცოტა გულზე მოეშვა.

დადგნენ თუ არა მებრძოლები ერთს ადგილას, ფეხები ტბის ტალახიან ფსკერში ჩაეფლოთ, თან აუარებელი მუმლი დაესიათ. პავლუშა კარგად ხედავდა, რომ მებრძოლები თანდათან ეფლობოდნენ ტალახში, თანდათან პატარავდებოდნენ, წყალი მაღლა იწევდა და უკვე ყელამდის სწვდებოდათ. რამდენიმე წუთის დაყოვნება და მებრძოლები ტბის ზედაპირიდან გაქრებოდნენ.

სანდრო შიშმა აიტაცა, ნერვები აეშალა, ბალახი დაგლიჯა, დაწიწკნა და მუჭში ჩაიბღუჯა. ახლა უნდოდა დაეყვირა: „ადამიანო, რას შვრები, რას სჩადიხარ? ვერ ხედავ, ბიჭები ნელ-ნელა რომ იკარგებიან ტბაში?“ ძლივს ლუღლუღებდა სანდრო. ამ დროს პავლუშამ ბრძანება გასცა, იმოძრავეთო... მებრძოლები ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, ადგილს ინაცვლებდნენ, რომ ფეხები შემპარავი ტალახისთვის არ დაენებებინათ და პირი შლამიანი წყლით არ ამოევსოთ.

პავლე კარგად გრძნობდა, თუ რა საშინელ წამებას და ტანჯვას განიცდიდნენ მებრძოლები, მაგრამ რა უნდა ექნა? გვერდი აევლო? იქ ხომ უეჭველი სიკვდილი და განადგურება მოელოდათ? ტყვიები ქვასქვაზე ადუღებდნენ და მიწას ცას უერთებდნენ. იდგა საშინელი ბუღი და თოფის წამლის სუნი.

მტერი მოსტყუვდა. ერშოვის ასეული სამიზნებელი ობიექტიდან დაეკარგა. მან სროლა შეწყვიტა. პავლემ ამით ისარგებლა და ბრძანება გასცა, მხოლოდ ერთი ტყვიამფრქვევი აემოქმედებინათ, თოფებიდან კი ერთი ტყვიაც არ გაესროლათ, მტერს რომ არ შეემჩნია და სროლა არ დაეწყო.

ნამგალა ფეხებიანი ოცეულის უფროსი ვლადიმერ გრებენშჩიკოვი ტბაში ნიჩაბივით დააცურებდა ფართო ფეხებს. საოცარი ის იყო, რომ ამ პატარა კაცს ამოდენა ფეხები ება ტანზე. სხვებს რომ წყალი მკერდამდის სწვდებოდა, ვლადიმერი ყელამდის იყო ჩამალული. უფრო სასაცილო სანახავი მაშინ გახდა, როცა მხრებზე ხელის ტყვიამფრქვევი დადგეს და იქიდან სროლა ასტეხეს. კაცი სრულებით არა სჩანდა. მხოლოდ ქუდიღა იყო. ამ ქუდზედაც რაღაცა ძალით ტყვიამფრქვევის ტუჩი იყო აშვერილი. მისი ლულიდან ცეცხლი იფრქვეოდა.

სანდრო ამ სურათს შორიდან უყურებდა და ღიმილი მოსდიოდა.

ერთი საათის შემდეგ სულ რომ მისწყდა მტრის სანგრებიდან სროლა, პავლუშამ განკარგულება გასცა.

— წინ, ასეულო! — დიდიხნით ნანატრი ბრძანება იყო ეს. მებრძოლნი ტბიდან ამოვიდნენ და ტალახში ამოსვრილნი და წყალში ამოლუმპულნი ნაპირ-ნაპირ გაემართნენ მტრის სამყოფელისკენ.

იაპონელმა მეთვალთვალემ ასეულის მოძრაობა შეამჩნია. მან სნაიპერებს აცნობა და ასტყდა საშინელი სროლა. მალე ზარბაზნებიც ამოქმედდნენ. ერთი უშველებელი ყუმბარა ტბის ნაპირზე სანდროს მახლობლად დაეცა და უზარმაზარი ორმო ამოთხარა. ბუღში გახვეულ სანდროს აღარ ახსოვდა, რა მოხდა ირგვლივ ამის შემდეგ.

⁂

დაღამებისას ძლივს მოვიდა იგი გონს. შეინძრა თუ არა, თავზე დაყრილი მიწა საფარში ჩაცვივდა. ტანი აამოქმედა, მაგრამ მარცხენა ხელს ვერაფერი მოუხერხა. ყუმბარის ნამსხვრევი მკლავში მოხვედროდა და დაჭრილი იყო. სანდრომ მხოლოდ ახლა იგრძნო ტკივილი. ჩანთაში ჩარჩენილი ბინტი და ბამბა ამოიღო, დიდი გაჭირვებით ტბამდის მიხოხდა, დასისხლიანებული და დამტვერიანებული მკლავი მოიბანა და მაგრად შეიხვია.

მალე დაბნელდა. გაჩერება აღარ შეიძლებოდა. იღბლად სანდრო მაღალ ბალახში შემალულ სათევზაო ნავს წააწყდა. როგორც იყო, ჩაჯდა ნავში. მარჯვენა ხელი ნიჩაბს დაავლო, რაკი მარცხენა ხელი დაჭრილი ჰქონდა და სათანადოდ ვერ იყენებდა, მეორე ნიჩბის სამოძრაოდ მკერდს იშველიებდა.

ასე წვალებით მთელი ღამე მოუნდა ერთი კილომეტრის სიგანის ტბის გაცურვას და მეორე ნაპირზე გასვლას. გათენებისას ამ მეორე ნაპირთან გათხარა საფარი და შიგ ჩაიმალა. ადამიანი ძლიერ ბევრის ამტანი ყოფილაო, ამბობდა სანდრო თავისთვის, როცა მას შეფიცულებივით ერთად ასტკივდა სამივე ჭრილობა: მკერდში, ფეხში და მკლავში.

---

*) ერთი თავი მოთხრობიდან — „ხასანის გმირები“.



საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენა. შესასვლელი უკრაინის პავილიონში

ბრძოლა მჭერისა და მისრა-მელიქისა

(„დავით სასუნციდან“)

იყო, ცხოვრობდა ქვეყნად ძლიერი
მისრა-მელიქი, მმართველი მისრის.
ის ხელმწიფობდა მისრასა ზედან,
სასუნიც იყო მოხარკე მისი.
მისრა-მელიქი გზავნიდა დესპანს
და აგროვებდა სასუნს ხარაჯას.
არა უწყობდა ზუმზერაზ მჭერიმ,
რომე განგებამ აგრე განსაჯა:
ერთხელ მელიქთან მეჯლისი იყო,
ადგა მეჯლისზე მელიქ ხნიერი,
რქვა: მჭერის ეხლავ შეატყობინეთ,
შემერკინოსო გმირი ძლიერი.
მოვიდნენ სასუნს შათირნი უმალ,
მჭერის აცნობეს მეფის ზრახვანი.
მოყმემან წამსვე დასტური დასცა:
„მოვიდეს, ნახოს ჩემი ლახვარი“.
ოჰანმა უთხრა:—ხარ მოწიფული,
შეგფერის ყოფნა ქვეყნის დარაჯად.
წადი მელიქთან, მიეხმატკბილე,
იქნებ მცირედი იხლოს ხარაჯა.
მობრუნდა მჭერი, გულამღვრეული:
— ოჰან, დაგექცეს მთელი სახლ-კარი,
თუ ხარაჯასა მელიქს ვაძლევდით,
არ ვიცოდი და რად არ მითხარი?!
შეახტა გმირი ქურქიმ ჯალალსა
და მითქარუნდა მისრას ნეტარი.
მისრა-მელიქმა, მინდვრად გასულმა,
იხილა, მოჰქრის ვიღაც მხედარი.
თითქო ციხეა, შემჯდარი ცხენზე,
ქარიშხალივით მოჰქრის მერანი.
მოვარდა მძლავრი, სალამი ჰკადრა
და შეაჩერა ტორთა თქერანი.
შეხედა, შიშით შეკრთა მელიქი.
შესაფერისად ვერ შეეგება,
იფიქრა, ნუ თუ შობილა ცისქვეშ
ამგვარი ტანის კაცი ვეება!
სასწრაფოდ გასცა მეფემ ბრძანება,
დაუჭირეთო სტუმარს მერანი.
მხლებელმა ხელიც უზანგში სტაცა
და ძირს გადმოხტა გმირი კენარი.
— სიდან ხარ, გმირო, შემატყობინე?
— ვარ სანასარის ძე, სასუნელი;
— ვინა ყოფილხართ,—წამოიყვირა,—
გიპყრიათ ჩემი მიწა ულევი?
შენა ხარ მჭერი?—დიახ, გახლავართ!
— იენ გსურს დაუდგე სასუნს დარაჯად?
სასუნის მიწა მელიქს ეკუთვნის
და რად არ მიხდით, გმირო, ხარაჯას?
დილით ერთმანეთს ჩვენ შევერკინოთ
და განვამზადოთ ისრის კაპარჭა.

დილის ჟამს მჭერი, მძლე სასუნელი,
მეფის წინაშე წასდგა პირველი;
მძლე სასუნელმა, მისრა-მელიქმა
ბრძოლა ასტეხეს გასაკვირველი.
დაბელტეს მიწა გმირთა ფეხებმა,
თითქოს სახნისმა მიწა გადახნა,
ჰექა-ქუხილი ავარდა ცაში
და გადავარდა მთების გადაღმა.
ამბობდნენ: გრგვინვა არის მეხისა,
ამბობდნენ: იძვრის მიწა მთებისა.
ყოველი მათი შემოკვრა იყო
დაზანზარება მთელი ქვეყნისა.
სამას ლიტრიან გურზებსა სწევდნენ
სცემდნენ ერთმანეთს გულით ენებულნი;
წუთით იხედნენ და უეცარად
იყვნენ შეტევით შენივთებულნი.
სამი ღამე და სამი დღე აგრე
მათ გაუჩინეს მიწას წყლულები.
ველარ დასძლია ერთმა მეორე
და წუთით შედგნენ მომახულები.
მელიქმა უთხრა:—გმირო სასუნის!
დავზავდეთ, შევკრათ ახლად პირობა.
მეგონა, არვინ მოიძებნება,
გამოიჩინოს ჩემებრ გმირობა.
მაგრამ ეყოფილვართ სწორნი ღონითა
და მომიპოა ხარკი წარსული,
მიბოძებია შენთვის ყოველი
შენი ხარკი და შენი სასუნი.
წადი მშვიდობით და ინეტარე
სიამით იყავ ალაღებული,
მაგრამ თუ ომი დაგვიწყოს ვინმემ,
მტარვალს დავატყდეთ შეთანხმებული.

მელიქმა ეს რქვა არა პირნათლად,
იწყო ბოდიში და თვალთმაქცობა,
რადგან შეიტყო მჭერის გუზება,
პატიოსნება და ვაჟკაცობა.
უთხრა:—ჭაბუკო, თუ ადრე მოვკვდე,
შენ გეკუთვნოდეს ჩემი სამეფო,
დედოფალიცა შენ წაიყვანე,
ქვეყნად არავის არ დაანებო.
ხოლო თუ მოკვდი, შენ ნაადრევად,
მე დამიტოვე შენი სახლ-კარი.
მჭერმა მიიღო მისი ნათქვამი
და დაამშვიდა მისრის მტარვალი.
მაშინ გაიჭრეს თითნი მახვილით,
ერთად აღრიეს სისხლი წყლულების,
შესვა ორივემ სისხლი ნარევი
და გახდნენ ძმებად შეფიცულები.

შემდგომად განვლო ჟამმა მრავალმა,
ძე შეეძინა მელიქს წყეული.
ძესა უწოდეს მისრა-მელიქი,
ისიც სახილო მამისეული.
გარდაიცვალა მამა მელიქი,
დასტოვა ძე და ცოლი ხათუნი.
მისრა-ხათუნმა ქმარი ინდომა,
გამგე მისრის და მოდგმა სასუნის.
რქვა:—ნეტავ, ვნახო ვინმე ყოჩაღი,
გავგზავნო მჭერთან, ვიხმო მისრისას.
ეგებ მოვიდეს, ძე შემეძინოს
და დაგვეთესლოს თავის სისხლითა.
მისმა ულაყმაც მისრის ცხენებში
უნდა დაიწყოს ჭაკთა მამლობა,
თორემ სასუნის ნაშიერები
მოსპობენ მისრის შთამომავლობას.
მოუხმობ მჭერის, სასუნის მეფეს,
გვესტუმროს იგი და გაგვახაროს.
შევიყვან მჭერის საწოლ ოთახში
და ღამე ჩემთან მან გაატაროს.
აი რას შვრება ცოლი მელიქის!
სასუნს გაგზავნა ორი მხედარი,
მოიპატიჟონ მისრის დარბაზში
და მოიყვანონ მჭერი ნეტარი.
ქალმა მოიხსნა თავის ლეჩაქი,
იძრო ქამარიც გადაფერილი,
მხედრებს გადასცა ჭაბუკისათვის
და გაატანა თანაც წერილი.
რქვა:—გადაეცით წიგნი მოყმესა,
სწრაფად გიწვევსთქო მისრა-ხათუნი,
წაიღო წიგნი ორმა მხედარმა
და ინახულა დიდი სასუნი.
აწ სანადიროდ მჭერი გასული
მწუხრზე დაბრუნდა მაღალ მთებიდან,
მხარზე გაედვა ხე და ნადირი
ხის ყოველ გაშლილ ტოტზე ეკიდა.
მიუახლოვდნენ, მხედრები მოყმეს,
მისრა-ხათუნის მისცეს ბარათი:
— გიგზავნის ლეჩაქს, ქამარს ქალისას
და გეძახისო ქალი ტანადი.
მჭერიმ დაჰხედა ლეჩაქს და ქამარს,
ძღვენსა მოავლო თვალი მარადი,
ნეტავ ვიცოდე, რას მოასწავებს
ან რას ამბობსო მისი ბარათი?
წიგნში ეწერა: „შემეყარეო,
შესრულდეს აღთქმა გასახარელი,
ხელთა გაქვს ეხლა მხოლოდ სასუნი,
შენი გახდება მისრის მხარეც.
გიგზავნი ქამარს, ლეჩაქს ქალისას,
ეს ხომ ქალობის ნიშანი არი,
თუ არ წამოხვალ, ხარ ქალაჩუნა,
არა ვაჟკაცი და მოისარი“.
მჭერმა წარმოსთქვა:—ჰეი, მოყმენო!
მარად გიძღოდეთ უფლის ალერსი,
შემოდით შინა, წაისაუზმეთ
და მშვიდად წადით მისრის მხარეში.
ორმოც დღის შემდეგ მისრას ვეწვევი,
ეხლა გთხოვთ, ხათუნს მიუსალმოთ.
მხედრებმაც მასთან წაისაუზმეს
და სასუნიდან გაჰქრნენ საღამოს.
ჭაბუკმა წიგნი კვლავ გადიკითხა
და ეუბნება თავის ფერიას:
— არმალან! ცოლსა მისრა მეფისა
ჩემთვის რა წიგნი მოუწერია!
მოდი და ქმრათა შემეყარეო,
წავალ, გავიგებ, რა სურს ნეტავი.
ცოლმა მიუგო:—აღარ წახვიდე.
გეცბიერება ქალი მეძავი.
განა უნახავს შენი სახება,
იცის, გონჯი ხარ თუ მშვენიერი?
რათ უნდა ხათუნს შენთან მრუშობა,
ვიცი, არ ხიბლავს შენი იერი!
ის მოხიბლულა შენი ძალ-ღონით—
ძე გაუჩინო უნდა სამიწეს.
— მისმინე, ქალო, რადგან მეძახის,
შეფიცული ვარ, უნდა წავიდე.
წავალ, გავიგებ, რა შემთხვეულა,
მსურს შევასრულო ფიცი ჩვეული;
ვეღარ დაურღვევ მელიქს აღთქმასა
და ვერ გავხდები კაცი წყეული.
ცოლმა მიუგო:—ქმარო, ნუ წახვალ,
შენ არ შეგშვენის მისი გართობა,
წახვალ, არ მოგწევს კეთილ საქმესა
და მეც დამტოვებ ქვეყნად მარტოკა.
რა უთხრა მჭერიმ ცოლსა არმალანს?
მან უთხრა:—ქალო, წავალ წამისად,
თუ არ წავედი, ვარ დედაკაცი,
მსგავსი ბარათის მომწერ ქალისა.
ქალის მოწვევას ვინც განუდგება,
იგი ვაჟკაცი შთანთქას მიწამა!
სხვა გზა არ არის რაინდისათვის,
ჩემმა გონებამ აგრე იწამა.
ცოლმა ღაღადყო:—თუ შენ წახვედი,
არ მომეკარო სახლისმგმობელი!
აღთქმას ვიძლევი, ორმოცი წელი
მამა იქნები, ძმა ახლობელი
და არა ქმარი მანათობელი.

მაშინ შეკრიბა გმირმა იშხანნი
და სულიერი იხმო მამანი.
შინ მოიწვია მათი კრებული
და მოითხოვა მათგან ფარმანი:
— მისრა მელიქის ცოლი მეძახის,
უნდა ვეახლო, ვარ შეფიცული.
ოჰანმა უთხრა:—რისთვის მიდიხარ,
ჯერ შინ არა გყავს ძე უფლისწული?
უმჯობესია, სახლად დარჩენა,
არ ვარგის გამგე მისრად გასული.
ეგებ უფალმა ძე მოგანიჭოს
და ჭაბლიერდეს კერა სასუნის.
ხოლო მოძღვრებმა და იშხანებმა
ოჰანის ნათქვამს არ დაჰკრეს კვერი.
თუ გადასწყვიტა წასვლა მისრასა,
გაესწრაფისო ნეტარი მჭერი.
განა ჩვენ არ გვსურს მისრა დავიპყრათ,
სამეფო გვინდა გვეპყრას მრავალი,
თუ დედოფალი გეძახის, წადი,
გამდიდრდეს ჩვენი შთამომავალი.
ოცდაცხრამეტი დღე მიიწურა
და მჭერიმ მისრას წასვლა ისურვა.
რა ქმნა მჭერის მეუღლემ მაშინ?
გამოიტანა შავი სუდარა,
გაშალა ვრცელი საწოლ ოთახში
და ქმრის საწოლზე გადააფარა.
როცა შეახტა მჭერი მერანსა,
ატირებული, ოჰან მკვნესარი,
მოეჭდო მერნის კისერს და უთხრა:
— დარჩი, გატყუებს ქალი მეძავი.
გააგულისა მჭერი ჩივილმა,
შემოუქნია ლახტი ჰაერსა,
ძლიერ შეირყა ლახტით ჰაერი
და გულწასული ოჰან დაეცა.
უგრძნობლად ეგდო ძენოვ-ოჰანი.
შეკრთა გმირი და ცხენით გადმოხტა.
— ძენოვ-ოჰანო, ძმაო მხცოვანო!
აქვითინებულ მოყმეს აღმოხდა.
მივეცი აღთქმა მისრა მელიქსა,
არ შევასრულებ—მომკლავს განგება,
— ძენოვ-ოჰანი, გონზე მოსული,
ატირებული ზე წამოდგება.
მიდიხარ, წადი, ძეო ძლიერო,
ღე, აგიმწვანდეს გზები სავალი,
არ შეგეყაროს მახვილი მტრისა,
არვინ შემოგხვდეს გზაზე მტარვალი.
მერე დალოცა, შუბლზე აკოცა.
მჭერი შეახტა მერანსა ისევ,
დილით წასული სასუნიდანა
მწუხრის ჟამზედა მიადგა მისრეთს.
მისრის ხათუნი სარკმელთან იჯდა,
წარბს სოლავით ილამაზებდა,
გადმოეყარა შავნი ნაწნავნი,
ელოდებოდა მჭერის გზაზედა.
ხონჩი განეგო გზაზე მჭერისთვის,
მრავალ სანთლებით გაჩაღებული,
ხათუნს უნდოდა ტრფობა აენთო
და გზას გასცქეროდა გალაღებული.
იხილა, შორით მოჰქრის მხედარი,
ამართულია ტანი კენარი,
თითქო მერანზე შემჯდარა ციხე,
ქარიშხალივით მოჰქრის მერანი.
და რქვა ხათუნმა:—ნამდვილ ეს არი,
სასუნის გმირი გზაზე იჩქარის.
მჭერიც სარკმელთან შესდგა, იყვირა:
— მისრის ხათუნო, რა გსურს მითხარი?
ხათუნმა უთხრა:—განა, ძვირფასო,
სტუმარს შეჰფერის სიტყვა ამგვარი?
გადმოხტი ცხენით, შემოდი სახლად,
შეგატყობინო მისრის ამბავი.
— მინდა მომითხრო ეხლავ ყოველი,
ფიცი მივეცი უფალს ისეთი,
არ გადმოვიღო ფეხი უზანგით,
სანამ მოწვევის არ ვიცნო მიზეზი.
— მართალი უთქვამთ, ჩემო ძვირფასო,
სასუნის ხალხი უბირი არი;
რათ გეჩქარება შინ დაბრუნება,
ხომ არ მოედო სასუნს ხანძარი,
ან ცეცხლი ხომ არ გამოგლევიათ
და კერიები არის ჩამქრალი?
თითქო ისწრაფვი ცეცხლი წაიღო
და გადირბინო ყველა ნაპრალი.
გადმოხტი ცხენით, იპურმარილე
და შემდეგ წადი, გადიმარულე.

⁂

შემინდე ესე,—უთხრა მოყმემ,—
ვერ გამიგია შენი მომართვა:
მითხარ რა გინდა, შველა ქალისა
წესია გმირთა და მეომართა.
იგრძნო ხათუნმა, მჭერი ბრუნდება
და უნდა მისრას თავი ანებოს;
უთხრა მსახურებს მიწა გახეთქეთ,
შვიდი წლის ღვინო მომიტანეთო.
მოყმეს მოართვა ქალის მსახურმა
ღვინო მაგარი და შვიდწლიანი
დალია მჭერიმ, გაბრუვდა წამსვე
და დაუბნელდა აზრი მზიანი.
„ნუთუ იქნება კაცი ისეთი“,
ფიქრობს ჭაბუკზე ქალი ცბიერი.
ბრძანებს, მერნიდან გადმოსვან იგი,
და გადმოხტება მჭერი ძლიერი.
ის შეიყვანეს გაშლილ დარბაზში,
ზეიმით შეხვდა ქალი მისრისა.
უთხრა: გიწვევდი ჩემს სარეცელში,
ძე შემეძინოს შენი სისხლისა.
მსურს ძე შეიქმნეს შენებრ მამაცი,
მისთვის გავშალე ჩემი ლოგინი.
მოყმე მიუგებს:—ეს არ მოხდების,
ფუჭი იქნება შენი ლოდინი.
მისრა ხათუნი მაინც არ იშლის:
— ეს ღამე ჩემთან მსურს გაატარო,
ნებით თუ ძალით შემომეყარო,
რადგან მიყვარხარ, ლომის სადარო.
მისრა-ხათუნი მიეხმატკბილა,
გაეტრფიალა ქალი სალუქი,
გაუმასპინძლდა, ღვინით დაათრო
და უნებლიეთ გაჰყვა ჭაბუკი.
აწ შეიტყუა საწოლში იგი
და მეჯინიბეც იხმო წამიერ.
ბრძანა, ულაყი, ცხენი ჯალალი,
ჩვენი ჭაკების რემას გაჰრიეთ,
როგორც უბრძანეს მეჯინიბესა,
მჭერის ულაყიც ჭაკებს მიგვარა.
არ დაირსულდა მისრა-ხათუნი...
ულაყიც ჭაკებს არ მიეკარა.

თარგმანი: **სიმონ ჩიქოვანისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთხრობა დიდ ხელოვანზე

გ. ჟღენტი

თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის თემატიკა ჯერ კიდევ უმთავრესად სოფლის ცხოვრებით არის შემოფარგლული. ქალაქი და, განსაკუთრებით, ინტელიგენცია მეტად მკრთალად მოსჩანს ქართულ ბელეტრისტიკაში. მით უფრო იშვიათია ჩვენს მწერლობაში ისეთი ნაწარმოები, რომელიც ქართველი ხელოვნის ცხოვრებას ასახავდეს, ხატავდეს ქართველი არტისტის პორტრეტს, შლიდეს ჩვენს თვალწინ მისი პოეტიზირებული ბიოგრაფიის ეპიზოდებს. ამიტომაც ალ. ქუთათელის ახალი ნოველა „აბესალომ და ეთერი“ თავისებურ და განსაკუთრებულ მოვლენას წარმოადგენს ქართულ საბჭოთა პროზაში.

ეს ნაწარმოები ბიოგრაფიული ბელეტრისტიკის ჟანრს უახლოვდება. უახლოვდება,—ვამბობთ ჩვენ,—რადგან ქუთათელის ნოველაში გმირის რეალური პორტრეტი და ბიოგრაფიული ელემენტი ისე ღრმად არის გარემოცული წმინდა ბელეტრისტულ სიტუაციებისაგან შედგენილი ფაბულური ქსოვილით, რომ ძნელი გასარჩევია, სად თავდება რეალურ მოვლენათა რკალი და სად იწყება მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის სფერო, ძნელი სათქმელია, რომელი მათგანი სჭარბობს თავისი მოცულობით და ხვედრითი წონით ამ ნოველაში.

„აბესალომ და ეთერი“ მოგვითხრობს ქართული ვოკალური ხელოვნების უდიდესი არტისტის ვანო სარაჯიშვილის ცხოვრების რომანტიულ ეპიზოდს. მწერალი ხატავს სარაჯიშვილის, როგორც მგზნებარე შემოქმედის და რთული სულიერი ცხოვრების ადამიანის, წარმტაც პორტრეტს. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება იშვიათი პოეტური გარეგნობის არტისტი—თავისი მძაფრი შემოქმედებითი ცხოვრებით, თავისი მღელვარე და დაუდგრომელი ადამიანური ბუნებით. ნოველაში განსახიერებული რამდენიმე ეპიზოდი სარაჯიშვილის შემოქმედებითი ცხოვრებისა—მის მიერ დონხოზესა და აბესალომის პარტიების შესრულების აღწერა—მკაფიოდ გადმოსცემს არა მარტო იმ მომჯადოებელ ხმასა და აქტიორული ხელოვნების განუმეორებელ ძალას, რომელსაც სარაჯიშვილი ფლობდა, არამედ იმ ნამდვილ გამძაფრებულ ბრძოლას როლის ბუნებასთან, უღრმეს განცდას, და მიღწეულით დაუკმაყოფილებლობას, ახალ შემოქმედებითი მწვერვალებისაკენ დაუცხრომელ სწრაფვას, რაც ასე დამახასიათებელი იყო ამ იშვიათი და დაუვიწყარი ქართველი მომღერლისათვის.

და ამავე დროს ჩვენს თვალწინ ისახება სარაჯიშვილის ცხოვრების მეორე სფერო: გატაცებული მოყვარული ბუნებისა, მარჯვე მონადირე, უშიშარი რაინდი, თავდავიწყებული მოქეიფე, მხურვალე გულის მეგობარი და ალგზნებული მიჯნური, თავმდაბალი, მოკრძალებული და ამასთანავე კეთილშობილური სიამაყისა და მტკიცე ნების ადამიანი,—ასეთია სარაჯიშვილის პიროვნული სახე, მისი კერძო ცხოვრების სფეროში მოხაზული პროფილი ამ ნოველის მიხედვით.

მსახიობის რევოლუციამდელი ცხოვრებისა და სულისკვეთების ამსახველი ამ ნოველის თემა ის სულიერი დრამაა, რომელსაც არტისტი განიცდიდა მსახიობის ნიღაბსა და რეალურ ადამიანურ ბუნებას შორის აღძრული ბრძოლის ნიადაგზე. „თქვენ განა იცით მსახიობის ვაება?“—ამბობს ნოველის გმირი, ვანო სარაჯიშვილი და ამ „ვაებას“ ამგვარად განმარტავს: „მე მოჩვენებით სამყაროს და გამოგონილ პირთა განსახიერებას გადავყევი და საკუთარი ჩემი სახე დავკარგე, საკუთარი გრძნობის განცდა სადღაა?... მე სხვათა მაგიერ ვეგებებოდი წითელი მზის ამოსვლას, სხვათა მაგიერ დავსტიროდი მის დაკარგვას, სხვათა ყურებით ვისმენდი ძმადნაფიცობას, ღალატს, მიჯნურთა მწველ სიტყვებს, სიხარულს და ბოლოს გაჰქრა გრძნობა, განიძარცვა საკუთარი თვალთხედვა და საკუთარი ყურთასმენა... გული გაცივდა..“ „მე მხოლოდ გამომხატველი ვიყავი სხვათა გულისთქმისა და შეთხზულ გრძნობებისა“, „მე მინდა განვიცადო საკუთარი ცხოვრება, საკუთარი ტანჯვა, აღტაცება და სიყვარული“, დიდი ხელოვანის ამ სიტყვებში მოსჩანს არტისტის უშუალო ადამიანური ბუნების ამბოხი მისი მსახიობური ნიღაბის წინააღმდეგ, ის დარღვეული, წინააღმდეგობებით დასერილი ბუნება შემოქმედისა რაც დამახასიათებელი იყო რევოლუციამდელი ხელოვნების ყოფისათვის.

ერთმა რომანტიულმა შემთხვევამ აღძრა ასეთის ძალით არტისტის ბუნებაში ეს მტკივნეული დრამა. თვით ეს შემთხვევა, რომელიც ნოველის ფაბულურ საფუძველს წარმოადგენს, მწერალს იმგვარად შეუთხზავს, რომ იგი შეიცავს ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სიუჟეტის პარალელურ მოტივებს. ასე რომ ამ მხრივაც არტისტის პირადი თავგადასავალი ორგანიულად გადადის მისი აქტიორული ცხოვრების სფეროში და აქაც დაკარგულია ზღვარი რეალურსა და შეთხზულს, პიროვნულსა და შემოქმედებითს ბიოგრაფიის შორის.

ნოველის საფუძვლად აღებული ამბავი ასეთია: ქალაქური ცხოვრების დაძაბულობისაგან მოქანცული ხელოვანი ბუნების უშუალობისაკენ მიისწრაფვის. იგი ველური ბუნების წიაღში ჰპოებს სულიერ სიმშვიდეს, სტკბება წარმტაცი პეიზაჟებით, ნადირობს. ნადირობისას მას შემთხვევით უკმაყოფილება მოუხდება ერთ მთიულთან. მოხუცს ახალგაზრდა მთიელი ექო გამოექომაგება. იმართება მძაფრი ბრძოლა მსახიობისა და ექოს შორის. ბრძოლა ექოს დამარცხებით თავდება.

ნადირობიდან დაბრუნებული სარაჯიშვილი თავის თანამონადირე მეგობრებით გზად მთის პატარა სოფელზე გაივლის. იქ მათ ნაცნობი, ახალგაზრდა მთიელი შეხვდებათ, რომელიც ცნობილ მომღერალს ოჯახში შეიპატიჟებს და გულთბილად გაუმასპინძლდება. გამხიარულებული სარაჯიშვილი გატაცებით მღერის ქართულ რომანსებს და ხალხურ სიმღერებს. მთელი სოფელი იკრიბება ამ მომჯადოებელ სიმღერაზე და უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით იმსჭვალებიან სახელგანთქმულ მომღერალისადმი. განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა მომღერალმა მასპინძლის პატარა გოგონაზე —მშვენიერ ეთერზე, რომელსაც თავის მხრივაც შესანიშნავი ხმა აღმოაჩნდა და სარაჯიშვილის ყურადღება დაიმსახურა. მსახიობი დაჟინებით ურჩევს მასპინძლებს ქალაქში გაგზავნონ თავიანთი ქალი და მუსიკალური განათლება მიაღებინონ. ამ საქმეში დახმარება და მზრუნველობა თვით სარაჯიშვილმა იკისრა.

მასპინძლიანნი და მთელი სოფელი დიდის მადლობით და სიყვარულით ემშვიდობებიან სტუმრებს, მათ ფარული ბრაზით უცქერის იგივე ექო, რომელსაც გატაცებით უყვარს ეთერი. მომღერლის თავისუფალი და თამამი მოპყრობა გოგონასთან უფრო გააძლიერებს ახალგაზრდა მთიელის მტრობას სარაჯიშვილისადმი.

ექო თავის მეგობარ ახალგაზრდა მთიულთან ერთად დაუხვდება აგარაკისაკენ მიმავალ სარაჯიშვილს. ისევ სასტიკი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა იმართება მათ შორის. ეს შემთხვევა საბედისწერო იქნებოდა სარაჯიშვილისათვის, რომ დროზე არ მიესწროთ მთიულებს და არ გაეშველებინათ მებრძოლნი. შემთხვევა ექოსა და სარაჯიშვილის დამმობილებით დამთავრდა.

განვლეს წლებმა. ეთერი უკვე ქალაქშია, კონსერვატორიაში სწავლობს. იგი დაქალდა, დამშვენდა. მას დიდი ვოკალური ნიჭი აღმოაჩნდა. სარაჯიშვილსა და ეთერს შორის თავი იჩინა ტრფიალების ძლიერმა გრძნობამ, რომელიც უფრო და უფრო ღრმავდებოდა და მწვავდებოდა.

ექო თავგამოდებით აიდევნა ეთერს. შეყვარებულ ახალგაზრდა მთიელს შეუძლიან ყველაფერი დასთმოს ამ ქვეყნად, გარდა თავისი სატრფიალო არსებისა, და თუმცა ეთერსა და ექოს შორის უფსკრული თანდათან ღრმავდება, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა მომღერალ ქალსა და უკულტურო მთიულს შორის აღარაფერი რჩება საერთო, ექო მაინც დაჟინებით მოითხოვს ეთერისაგან სიყვარულსა და ცოლობას.

ექო ხედავს, რომ ეთერის გული საბოლოოდ გადაიხირა სარაჯიშვილმა, რომ იგი უმწეოა და უძლური ამ მეტოქეობაში. არც სარაჯიშვილი და არც თვით ეთერი აღარ უმალავენ ექოს მისი სიყვარულის ამ განწირულების ამბავს.

იმედდაკარგული და უსაზღვროდ შეურაცხყოფილი მთიელი გადასწყვეტს შური იძიოს ეთერზე, და მძიმედ დასჭრის მას. თავზარდაცემული სარაჯიშვილი თავს დასტრიალებს სასიკვდილოდ განწირულ ქალს. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ეთერი განიკურნება. ეს ტრაგიკული თავგადასავალი სულიერ წონასწორობას ურღვევს მსახიობს. იგი ხშირად ღალატობს თავის არტისტულ მოწოდებას, არღვევს როლის ნიღაბს, პირადი მწვავე გრძნობებით შეპყრობილი, ვეღარ ახერხებს სრულყოფილად გამოხატოს შეთხზული გრძნობები, გადავიდეს მათში, თუნდაც წუთიერად დაივიწყოს საკუთარი ტანჯვა და სიყვარული.

სუსტდება და უძლურდება სარაჯიშვილი მსახიობი. ფიზიკურადაც ავადდება იგი. ნოველის ფინალურ სურათში სარაჯიშვილს სასიკვდილო სარეცელზე ვხედავთ. ეთერი თავს დასტრიალებს მას. ეთერის სახელის ხსენებით ამოხდება სული მომღერალს. იქვეა ექო, რომელიც ცხარედ დასტირის თავის სახელოვან ძმადნაფიცს.

ამ მთავარი ფაბულური ხაზის განვითარებისას მწერალი ხატავს გარემოცვის მკაფიო სურათებს, ჰქმნის მომქმედ პირთა მთელ გალერეას. მათ შორის ვხედავთ კონკრეტულ ისტორიულ პიროვნებებსაც: ლეონიდ სობინოვს, ზაქარია ფალიაშვილს და სხვებს. პერსონაჟი შევსებულია შეთხზული გმირებითაც, რომელთა შორის არიან ქუთათელის რომანის „პირისპირის“ მომქმედი პირებიც: კორნელი, დოსტაქარი მხეიძე, ვექილი მაყაშვილი, იონა, პლატონ მოგველაძე და სხვები.

მართალია, პერსონაჟისა და საერთო ატმოსფეროს მხრივ ეს ნოველა უახლოვდება ალ. ქუთათელის ხსენებული რომანის პირველ წიგნს, მაგრამ თავისი ბუნებით ეს სრულიად სხვა ხასიათის ნაწარმოებია, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქუთათელის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში.

აქ მწერალმა გვიჩვენა თავისი ძალა გმირის პირადი დრამის მძაფრად გადმოცემის სფეროში, თავისი უნარი—ჩამოაყალიბოს მკვეთრად მოხაზული სიუჟეტი და შექმნას ემოციური ძალის, დრამატიულად გამძაფრებული სიტუაციები.

წიგნი ამიტომაც ცხოველის ინტერესით იკითხება, მიუხედავად იმისა, რომ მასში მოთხრობილი რომანტიული ამბავი ხშირად ჰკარგავს რეალურობისა და დამაჯერებლობის ძალას.

ექოს ცხოვრება თბილისში, მისი დამოკიდებულება ოპერის სპექტაკლებისადმი (რაშიაც იგი საერთოდ ერკვევა), ეთერის დაჭრის ასე დაუსჯელად შერჩენა ექოსათვის და ბოლოს, ექოს, ეთერისა და სარაჯიშვილის მეუღლის შეხვედრა მომაკვდავი მსახიობის სარეცელთან, — ეს მომენტები ნოველის სიუჟეტისა მოკლებულნი არიან მოტივაციასა და დასაბუთებას, ამიტომაც გამოგონილი და ხელოვნური სიტუაციების შთაბეჭდილებას სტოვებენ.

ხასიათებისა და მდგომარეობათა დახატვაში მწერლის რომანტიული მხატვრული განზრახვა აყვანილი ვერ არის რეალურობის სიმაღლემდე, რის გამოც ნაწარმოებს სანტიმენტალური მელოდრამის იერი დაჰკრავს. მეტად მკრთალი შტრიხებით მოსჩანს მოქმედების სოციალური ფონი, რომელზედაც ორგანიულად უნდა იყოს ამოზრდილი ამ ნოველაში დასახული მწვავე სულიერი დრამა რევოლუციამდელი ხელოვანისა.

თვით ძირითადი კოლიზია—ველური ბუნების სტიქიის შეჯახება ქალაქურ-კულტურულ, არტისტულ სამყაროსთან, — რომანტიული პოეზიის მიერ მრავალგზის დამუშავებული მოტივის გამეორებაა და ამ მხრივ ნოველაში ვერა ვხედავთ პრობლემის ახლებურად დასმას და გადაჭრას, რაც უპირველეს მოთხოვნას წარმოადგენს საბჭოთა მწერლისათვის.

ნოველას კომპოზიციური ხასიათის ნაკლიც აქვს: თხრობას ავტორი პირველი პირით აწარმოებს, იგი თვით გამოდის ნოველაში ასახული ამბების მონაწილე. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში ავტორი გამოეთიშება სიტუაციათა მსვლელობას და თხრობა მესამე პირზე გადააქვს. ასეთ შემთხვევებში ეს გადასვლა ვერ არის შესრულებული ისეთი ბუნებრიობით, რომ ნაწარმოების სტილი არ ირღვეოდეს.

შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენ ძალიან ბევრს მოვითხოვთ ამ მცირე მოცულობის ნოველისაგან. მაგრამ ჩვენის ღრმა რწმენით მხატვრული სიმართლე და დამაჯერებლობა, სოციალური მიზანდასახულება და კომპოზიციური მთლიანობა საერთო პირობაა ყოველი მხატვრული ქმნილების წარმატებისათვის, მიუხედავად მისი მოცულობისა, ჟანრისა, თემატიკისა.

იმ გარემოებამ, რომ მწერალი მეტად მკრთალად და გაკვრით ხატავს მოქმედების სოციალურ ლოკალს, ჩვენთვის ბუნდოვანი გახადა ნაწარმოების იდეების მიზანდასახულობა, გაურკვეველი რჩება საკითხი: ნოველაში გამოხატული სულიერი დრამა მსახიობისა გამოწვეულია საერთოდ აქტიორული ხელოვნების სპეციფიური ბუნებით, თუ აღმოცენებულია გარკვეულ სოციალურ გარემოცვასთან დაკავშირებით.

იმ გარემოებამ, რომ გმირის ბიოგრაფიის რეალური მოტივები და გამოგონილი სიტუაციები, რეალური და შეთხზული პერსონაჟები ვერ არიან მოყვანილნი ორგანიულს მთლიანობაში, შეასუსტა მხატვრული სიმართლის ძალა და ნაწარმოებში ერთგვარი ბუტაფორული ელემენტი შეიტანა.

ნოველაში ვერ ვხედავთ სწორედ იმ დიდ ღირსებებს, რაც დამახასიათებელია ალ. ქუთათელისათვის, რომანის „პირისპირ“-ის ავტორისათვის — აქტუალურ იდეურ მიზანდასახულებას, პერსონაჟისა და სოციალური გარემოცვის ღრმად რეალური ცხოველმყოფელი მხატვრობის ძალას.

სამაგიეროდ, თავის ამ უკანასკნელ ნაწარმოებში ქუთათელი იჩენს მიმზიდველი, ემოციური ძალის შემცველი თხრობის უნარს, მძაფრი სიუჟეტის ჩამოყალიბებისა და გმირის პირადი დრამის, მისი სულიერი სამყაროს ხელშესახებად გამოხატვის ოსტატობას.

თავისი მხატვრული ნიჭიერების ყველა ამ ელემენტის მთლიან გამოვლინებაში უნდა გამოიხატოს ალ. ქუთათელის, როგორც ბელეტრისტის, შემოქმედებითი ევოლუციის შემდეგი, ახალი საფეხური.

ეს იქნება მწერლის ნამდვილი გამარჯვება სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის ბრძოლაში.



რთველი კახეთში. ნახატი შ. მამალაშვილისა. ფოლკლორული მუზეუმის ექსპონატი.

მზადება კოსტა ხეთაგუროვის იუბილესათვის

მიმდინარე წლის ოქტომბერში სრულდება ოსეთის სახალხო პოეტის კონსტანტინე (კოსტა) ლევანისძე ხეთაგუროვის დაბადების ოთხმოცი წლისთავი.

ხეთაგუროვი ოსი მშრომელი ხალხის უბადლო მომღერალია.

მის მდიდარ პოეტურ შემოქმედებაში პირველად გაისმა მძლავრი პროტესტი ოსი ხალხის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ.

კოსტას წიგნი „ირონ ფანდირი" („ოსეთის ქნარი") უდიდესი პოპულარობით სარგებლობს ოსეთის მშრომელ ხალხში. მისი ლექსები და პოემები ხალხმა ზეპირად იცის, მღერის მათ და მიაჩნია ისინი თავის საუნჯედ.

გარდა პოეტური შემოქმედებისა, ხეთაგუროვი ცნობილია როგორც დრამატურგი, ბელეტრისტი და პუბლიცისტი.

პოეტი თავის ლექსებში დიდის გატაცებით უმღერის ერთა სოლიდარობას და ძმურ კავშირს.

კოსტას შემოქმედება დღესაც აქტუალურია და იგი ერთნაირად ძვირფასი და საყვარელია ჩვენი კავშირის ყველა ერისათვის.

ქართველ მწერალთა საზოგადოებრიობა, ისევე, როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, გაცხოველებით ემზადება ამ შესანიშნავი პოეტის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 14 მარტს გამოჰყო საიუბილეო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით: ი. მოსაშვილი (თავმჯდომარე), ა. მაშაშვილი, ვ. გორგაძე (მდივანი), ს. ჩიქოვანი, რ. გვეტაძე, კ. კალაძე, ა. აბაშელი.

კომიტეტს დასახული აქვს ფართო საგამომცემლო გეგმა: არა მარტო კოსტა ხეთაგუროვის სრული კრებულის გამოცემა, არამედ მთელი ძველი და ახალი ოსური მწერლობის ნიმუშების გამოცემაც.

უკვე გადაითარგმნა და მწერალთა კავშირის გამომცემლობას „ფედერაციას" დასაბეჭდად გადაეცა „ოსური მწერლობის ანთოლოგია". წიგნი შეიცავს 20 საავტორო ფორმას. მასში წარმოდგენილია: ოსური ფოლკლორი (ხალხური სიმღერები და თქმულებები), ძველი რევოლუციამდელი და თანამედროვე საბჭოთა მწერლები: თემირბოლათ მამსუროვი, კოსტა ხეთაგუროვი, ცომაყ გადიევი, ელბიზდიყო ბრიტაევი, პლიევი, დარჩიევი, ძუგაევი, ქოცოევი და სხვ.

კრებული გამოდის სანდრო ეულისა და ვასო გორგაძის რედაქციით.

მიმდინარე წელსვე ითარგმნა ქართულ ენაზე (ოსურიდან და რუსულიდან) და მომზადდა გამოსაცემად კოსტა ხეთაგუროვის ნაწერების სრული კრებული. კრებული დიდი ფორმატისაა და შეიცავს დაახლოებით 600 გვერდს. მასში მოთავსებული იქნება, როგორც „ირონ ფანდირში" შეტანილი ლექსები, ისე ხეთაგუროვის მიერ რუსულად დაწერილი ლექსები და პოემები. წიგნს ექნება შემდეგი განყოფილებები: ლირიკა (ორასამდე ლექსი), პოემები (11 პოემა: „ჩ..ბადი", „აფსათი", „მწყემსი", „სასაფლაოზე", „სასამართლოს წინაშე", „ფატიმა" და სხვ.). პიესა „დუნია", მოთხრობა „ჯიხვებზე ნადირობა", ეთნოგრაფიული წერილი: „მთის ოსების ყოფა-ცხოვრება", კერძო წერილები, პოეტის ვრცელი ბიოგრაფია და კომენტარიები.

კრებულის თარგმნის ორგანიზაციისა და სარედაქციო მუშაობის ხელმძღვანელობისათვის საიუბილეო კომიტეტმა გამოჰყო პოეტი ვასო გორგაძე.

კრებულის თარგმანზე მუშაობდნენ ქართველი საბჭოთა პოეტები: ი. გრიშაშვილი, ხ. შანშიაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ს. ეული, ს. ჩიქოვანი, ვ. გორგაძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ქუჩიშვილი, მ. პატარიძე, მარიჯანი, ხ. ვარდოშვილი, ს. თავაძე, შ. აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, ი. ყიფიანი, მარიკა მიქელაძე, დ. გაჩეჩილაძე, მ. ..ევლიშვილი, კ. ბობოხიძე, ი. მჭედლიშვილი, დ. კასრაძე, შ. ამისულაშვილი, იასამანი, აგრეთვე მწერლები: ი. აგლაძე, ი. ზურაბიშვილი და დოც. ი. ბაქრაძე.

კრებულის გაფორმებაზე მუშაობდნენ მხატვრები: ს. კეცხოველი და ს. გაბაშვილი. კრებულს საიუბილეო დღეებისათვის გამოსცემს გაზ. „საბჭოთა ოსეთის" გამომცემლობა.

კ. ხეთაგუროვის რჩეულ ლექსებსა და პოემებს გამოსცემს აგრეთვე ცალკე წიგნად საქ. საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაცია".

თავის მხრით, სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირი ოსურ ენაზე ამზადებს გამოსაცემად „ქართულ საბჭოთა მწერლობის ანთოლოგიას", რომელშიაც შეტანილი იქნება თანამედროვე მწერალთა რჩეული ნაწარმოებნი. წიგნი გამოვა მიმდინარე წ..ს დამლევს.

კოსტა ხეთაგუროვის შემოქმედების პოპულარიზაციის მიზნით, საქართველოს მწერალთა კავშირი 15 სექტემბრიდან შეუდგება კოსტა ხეთაგუროვის საღამოების მოწყობას როგორც ტფილისში, ისე სარაიონო ცენტრებსა და კოლმეურნეობებში.

ჯეკ ლინდსეი „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ

ჯეკ ლინდსეი, რომლის აზრს რუსთაველის „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ ქვემოდ ვათავსებთ, არის ცნობილი ინგლისელი კრიტიკოსი, კულტურის ისტორიკოსი და პოეტი. 1939 წელს გამომცემლობა „ვიქტორ ჰოლლანდმა" ლონდონში გამოსცა მისი „კულტურის მოკლე ისტორია", სადაც ჯეკ ლინდსეი „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ შემდეგ აზრს გამოსთქვამს:

„საქართველო ერთსდაიმავე დროს იმყოფებოდა არაბული, ბერძნული, ირანული გავლენის ქვეშ. მე-12 საუკუნის დამდეგს შეიქმნა აკადემიები, ისწავლებოდა ბერძნული დისციპლინები, გადაითარგმნენ არისტოტელი და ნეო-პლატონიკოსები, პოპულარული გახდა ჰომეროსის შემოკლებული ვერსია. და იმ დროს, როცა ევროპა ამ პერიოდში ჰქმნიდა გაუმართავ ფეოდალურ ლეგენდებს, რომელთა შორის საუკეთესო არიან გაბედული „სიმღერა როლანდზე" და აბნეული „თქმულება ნიბელუნგებზე", საქართველომ შეჰქმნა ხელოვნების უდიდესი ნაწარმოები, შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი"; შესანიშნავად აგებული, დინამიური მოთხრობა სათავგადასავლო ამბებზე, რომლებიც მეგობრობის ჭეშმარიტი გრძნობის ეთიკას ემყარებიან. „ვეფხის ტყაოსანი" გახდა ხალხის ეპოსი (მთლიანად, მაშინ როცა „სიმღერა როლანდზე" და „თქმულება ნიბელუნგებზე" ასეთი გახდნენ მხოლოდ ნაწილობრივ).

„ვეფხის ტყაოსანი" სიხარულის აღმძვრელი წარმართული პოემაა, რომელიც ამის გამო იდევნებოდა ეკლესიის მხრივ. იგი ეპიურია, რადგან ტომობრივ ყოფა-ცხოვრებაში გაჰყავს უკეთესი ცხოვრების იდეალი, რაც ჰომეროსის ერთერთ დამახასიათებელ მიღწევას წარმოადგენს. თუმცა ქართულ ეპოსს არ ჰყოფნის ჰომეროსის სიღრმე და „კლასი", ის მაინც ნამდვილი ეპოსია, რომელიც თავს უყრის ყოფას მთელი ხალხისას.

„ვეფხის ტყაოსნის" მდიდარი შინაგანი ჰარმონია, უპირატესი „როლანდის სიმღერის" და „ნიბელუნგების" ჰარმონიაზე, ტექნიკურად ბრწყინვალედაა მოცემული; ამასთან ეს ტექნიკა შორს მანძილზე უკანა სტოვებს დასავლეთის ეპოსის ტექნიკას. პოემა დაწერილია ოთხსტრიქონიან სტროფებათ, სტრიქონში თექვსმეტი მარცვლით; ამასთან მუსიკალური მაჟორი და მინორი გადაწნული არიან სტროფებში ორმაგი და სამმაგი რიტმებით. პოემის სიტყვიერი ქსოვილი უაღრესად რთულია, მასში განვითარებულია მარცვლითი და ტონური ალიტერაცია.

პოემის დასასრული ნათლად განსაზღვრავს მის აზრს—მეგობრობის გამარჯვებას".

იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის საწინააღმდეგო საღამო მწერალთა კლუბში

იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო და ანტიფაშისტური დღის აღსანიშნავად მწერალთა კავშირის კლუბმა მოაწყო საღამო, რომელიც გაიხსნა ამხ. სანდრო ეულის მოკლე შესავალი სიტყვით.

საფუძვლიანად დამუშავებული, ვრცელი მოხსენება თემაზე „სამართლიანი და უსამართლო ომები" წაიკითხა ამხ. ა. ფ. ანისოვმა.

მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმი იძლევა, — სთქვა მომხსენებელმა, — ომის მეცნიერულად სწორ ახსნა-განმარტებას. მხოლოდ მარქსიზმის კლასიკოსებმა — **მარქსმა, ენგელსმა, ლენინმა** და **სტალინმა** შექმნეს ომის წარმოშობის ღრმად მეცნიერული თეორია, რომლის მიხედვითაც იმპერიალისტური ომი წარმოადგენს კაპიტალიზმის ბუნებიდან გამომდინარე მოვლენას, კაპიტალიზმის აუცილებელ თანამგზავრს. თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში იმპერიალისტურ ომს იწვევს ბურჟუაზიულ მთავრობათა მისწრაფება — ხელახლა გაინაწილონ გავლენის სფეროები, ტერიტორიები, კოლონიები, ნედლეულის წყაროები, საქონლის გასასაღებელი ბაზრები, ომს იწვევს მათი მისწრაფება — სამხედრო ავანტიურებით თავი დააღწიონ ეკონომიურ კრიზისს და დაუძლეველ შინაგან წინააღმდეგობებს, მისწრაფება — შეაჩერონ და ჩაახრჩონ მასების რევოლუციური მოძრაობა. მარქსიზმ-ლენინიზმი ამ მიზეზებით წარმოშობილ ყოველ ომს სთვლის ყაჩაღურ, დაპყრობით უსამართლო ომად, ხოლო იმ ომს, რომელიც მიზნად ისახავს ექსპლოატაციაზე დამყარებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობას, სოციალური და ნაციონალური ჩაგვრისაგან მასების განთავისუფლებას, მარქსიზმ-ლენინიზმი აღიარებს სამართლიან ომად. ანხორციელებს რა პრაქტიკულად ამ თეორიას, ლენინ-სტალინის პარტია მშრომელ მასებს ყოველთვის მოუწოდებდა და მოუწოდებს — გადააქციონ იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად და აწარმოონ იმპერიალისტურ მთავრობათა დამარცხებისა და დამხობის პოლიტიკა. მეორე იმპერიალისტური ომი უკვე დაიწყო. იგი გააჩაღეს ფაშისტურმა აგრესორებმა, რომელთა დაპყრობითი ყაჩაღური ინტერესების მსხვერპლი გახდა რამდენიმე ხალხის დამოუკიდებელი არსებობა.

საბჭოთა მთავრობა თავგამოდებით იბრძვის მშვიდობიანობის დამცველი ხალხების ერთიანი ფრონტის შექმნისათვის, რომ ამით შეაფერხოს ფაშისტური აგრესიის გაძლიერება და საყოველთაო იმპერიალისტურ ომად გადაქცევა. აწარმოებს რა მშვიდობიანობის პოლიტიკას, საბჭოთა ხალხი ამავე დროს მზად არის რისხვა დაატეხოს ყველა აგრესორს, რომელიც გაბედავს შელახოს სოციალისტური სამშობლოს წმინდა საზღვრები, საბჭოთა ხალხი მზად არის გაანადგუროს ყოველი აგრესორი, რომელიც შეეცდება მეორე იმპერიალისტური ომის ხანძრის დანთებას ჩვენს საზღვრებთანაც.

თავის მოხსენების დასასრულს ამხ. ანისოვი შეეხო მწერლობის ამოცანებს და ზუსტად განმარტა, თუ რაზე უნდა იმუშაოს საბჭოთა მწერალმა, რომ მისმა ნაწარმოებმა ხელი შეუწყოს საბჭოთა ხალხის სამობილიზაციო მზადყოფნის ზრდასა და გაძლიერებას.

მწერლობის ამ ამოცანებზე ვრცლად ილაპარაკა მეორე მომხსენებელმა ამხ. ბ. ჟღენტმა.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა ალიო მაშაშვილმა, ალ. გომიაშვილმა, ილო მოსაშვილმა, კალე ბობოხიძემ, ილია ხოშტარიამ, სეხმან ერთაწმინდელმა, ვასო გორგაძემ, სანდრო ეულმა, სანდრო შანშიაშვილმა და ელ. უბილავამ, რომლებმაც წაიკითხეს ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და ჩვენი საამაყო წითელი არმიისადმი მიძღვნილი ლექსები.

„დავით სასუნცის" ათასი წლისთავი

საიუბილეო სამზადისი საქართველოში

სომხური დიდებული ეპიური ქმნილება „დავით სასუნცი", რომელიც შეიცავს დაახლოებით 12000 სტრიქონს, ქართულ ენაზე მთლიანად ითარგმნა ჩვენი ცნობილი პოეტების მიერ და გამოსაცემად გადაეცა გამომცემლობა „ფედერაციას". წიგნს რედაქტორობს ორდენოსანი პოეტი ალიო მაშაშვილი, მხატვრულად აფორმებს მხატვარი თამარ აბაკელია.

წიგნს თანდართული ექნება პავლე ინგოროყვას ვრცელი გამოკვლევა.

წიგნი დაიბეჭდება მაღალ ხარისხოვან ქაღალდზე.

პოემის შემოკლებულ ვარიანტს გამოსცემს გამომცემლობა „საბლიტგამი". შემოკლებული ვარიანტის შედგენა დავალებული აქვს კონსტანტინე ლორთქიფანიძეს. იგივე გამომცემლობა გამოსცემს მონოგრაფიას „დავით სასუნცის" შესახებ.

პოემის ნაწყვეტები სისტემატურად იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში („ლიტერატურული საქართველო", „მნათობი", „ჩვენი თაობა" და სხვ.)

„მნათობისა", „ლიტერატურული საქართველოს" და „ჩვენი თაობის" სექტემბრის ნომრები მიეძღვნება „დავით სასუნცის".

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი თბილისისა და სარაიონო ცენტრების კლუბებში მოაწყობს „დავით სასუნცისადმი" მიძღვნილ საღამოებს.

სსრკ საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმზე, რომელიც ჩატარდება ერევანში—გაიგზავნება საქართველოს საბჭოთა მწერლების დელეგაცია. ქართველ მწერალთა დელეგაციის სახელით პლენუმზე მოხსენებით გამოვა პავლე ინგოროყვა.

საქართველოში „დავით სასუნცის" იუბილეს ჩამტარებელ კომიტეტში შედიან: ალ. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, ს. ეული, პ. ინგოროყვა, ს. ჩიქოვანი, გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე, კ. ჭიჭინაძე, ი. მოსაშვილი და ი. აბაშიძე.

„დავით სასუნცის" თარგმანების კითხვის საღამო

8 აგვისტოს, მწერალთა კლუბში გაიმართა „დავით სასუნცის" ქართული თარგმანების კითხვისა და განხილვის საღამო.

საღამო მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ალიო მაშაშვილმა.

— სომხური კულტურა, — ამბობს იგი, — ძველთა ძველი კულტურაა. მიუხედავად შემოსეულ მტრების მრავალი და ხანგრძლივი თარეშისა საუკუნეების განმავლობაში, სომხეთის ხალხმა დაიცვა და შეინახა თავისი დიდი კულტურა.

სომხურმა ფოლკლორმა უდიდეს განვითარებას მიაღწია საშუალო საუკუნეებში. ამისი მაგალითია უდიდესი სომხური ეპოსი „დავით სასუნცი". ამ მეტად მდიდარ და მხატვრულ ღირსებებით შემკულ პოემაში კონცენტრირებულია სომეხი ხალხის მრავალსაუკუნოვანი გმირული წარსული.

სომეხი ხალხის მრავალ საუკუნოვანი ისტორია, ისე, როგორც ქართველი ხალხის ისტორია — თავდადებული ბრძოლის ისტორიაა შემოსეულ მტრების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის დიდებული ძეგლია „დავით სასუნცი". დავით სასუნცი თავის მისწრაფებით, ვაჟკაცობით, ადამიანური სიბრძნით და სიყვარულით ჩვენ გვაგონებს ქართულ „ამირანს", ტარიელს ან ავთანდილს. პოემა „დავით სასუნცი" სომეხი ხალხის მაღალი კულტურისა და გემოვნების უკვდავი ძეგლია.

ჩვენ, ქართველი პოეტები დიდის სიყვარულით შევუდექით „დავით სასუნცის" თარგმნას. ჩვენმა ცნობილმა და მოწინავე პოეტებმა უკვე დაამთავრეს ამ პოემის თარგმნა. ამით ქართველმა პოეტებმა კიდევ ერთი წვლილი შეიტანეს ქართველ და სომეხ ხალხთა კულტურულ დაახლოვებას და მეგობრული კავშირის განმტკიცების საქმეში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ, დიადმა კომუნისტურმა პარტიამ ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით გასაქანი მისცა წინად დაჩაგრულ ხალხის კულტურულ აღორძინებას. ცოცხლდებიან და ახალი იერით გვევლინებიან ამ ხალხთა კულტურული მემკვიდრეობანიც. ამის ერთერთი ცოცხალი მაგალითია „დავით სასუნცის" ათასი წლის იუბილე, რომელსაც სულ ახლო მომავალში თავისუფალ სომეხ ხალხთან ერთად იზეიმებს მთელი საბჭოთა კავშირი.

ამის შემდეგ ეპოსში გაშლილ ამბების თანმიმდევრობის მიხედვით ნაწყვეტები „დავით სასუნცის" ცალკე თავებიდან წაიკითხეს ალიო მაშაშვილმა, სანდრო ეულმა, სიმონ ჩიქოვანმა, რაჟდენ გვეტაძემ, ილო მოსაშვილმა, კონსტ. ლორთქიფანიძემ, კარლო კალაძემ.

თარგმანებმა დამსწრეებზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დასტოვეს. ქართველი პოეტები ერთმანეთს შეჯიბრებიან, რომ მოეცათ სომხური დედნის, რაც შეიძლება, სრულყოფილი ექვივალენტი. მთარგმნელებს შეურჩევიათ მდიდარი მუსიკალური რითმები, გამოუყენებიათ ქართული სიტყვის უხვი მარაგი, რის გამო მთელი პოემა ჟღერს, როგორც ერთი მთლიანი მელოდიური სიმფონია, სადაც დაცულია დედნის ლოკალი, კოლორიტი, ეპიური თხრობის სიდიადე.—ასეთი საერთო აზრი გამოთქვეს თარგმანების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ბეს. ჟღენტმა, კონსტ. გამსახურდიამ, სურენ ავჩიანმა და სხვებმა.

კ. მესხის არქივი

საქართველოს თეატრალურმა მუზეუმმა შეიძინა მსახიობ კოტე მესხის პირადი არქივის დიდი ნაწილი. არქივში მოიპოვება ამხანაგთან მიწერილი წერილები პარიზიდან, მოსკოვიდან, რუსეთისა და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან. წერილები ეხება თეატრალურ ცხოვრებას, დადგმებს, პირად შთაბეჭდილებას და სხვას. არის აგრეთვე ორიგინალური და ნათარგმნი პიესები, ძველი ლიტერატურის უწყებები, უცხოეთის თეატრების ბიულეტენები, დადგმების მონტაჟები, მილოცვები, ფოტოსურათების მდიდარი კოლექცია მისი პირადი და თეატრალური ცხოვრებიდან, საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი პირადი ნივთები და სხვ.

საქ. სას.-სამ. გამოფენის ექსპონატი. ვერცხლის კოლოფის ხუფი. ცენტრში—ჭედური სურათი — გ. ხანდამაშვილისა, გრეხილური არშია—თ. ჯიქიასი.

ახალი წიგნები

„ქართული ხალხური ზღაპრები"

ქართველი ხალხის მხატვრულ შემოქმედებაში ზღაპრებს დიდად საპატიო ადგილი უჭირავთ. საუკუნეების მანძილზე უამრავი თაობა უსაზღვრო სიყვარულით დასტრიალებდა თავს ამ ფანტასტიკით მდიდარ, მრავალმხრივ და მრავალფეროვან საუნჯეს. ზღაპრების სრულად შეგროვება, სისტემატიზაცია და გამოცემა მრავალ ფოლკლორისტისთვის საოცნებო საგნად იყო გადაქცეული და დღემდე გამოცემული ორიოდე კრებული სრულიად ვერ აკმაყოფილებდა დიდ მოთხოვნილებას და საჭიროებას. რამდენიმე წლის წინათ ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ფოლკლორის სექცია, რომელმაც შეჰკრიბა უამრავი ქართული ხალხური ზღაპარი, სისტემატიზაციაში მოიყვანა ისინი და გამოსაცემად დაამზადა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა იკისრა ამ მასალის გამოცემა 5 ტომად. უკვე გამოვიდა პირველი ტომი რომელშიაც მოთავსებულია 74 ხალხური ზღაპარი ცხოველთა ეპოსიდან და ჯადოსნურ სამყაროდან. მდიდრული ლიდერინის ყდა ოქროთი მოვარაყებული ტვიფრით და წარწერებით, მხატვარ რ. მირზაშვილის მშვენიერი სურათები და შესაფერი ქაღალდი დიდი გემოვნებით გამოცემულ წიგნს მეტად კარგ ელფერს აძლევს.

პირველი ტომი გამოვიდა მ. ჩიქოვანის რედაქციით და ვრცელი გამოკვლევით.

„ლ. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა"

სახელგამმა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის რუსულ ენაზე გამოსცა მწერალ კ. ლორთქიფანიძის მხატვრული ნარკვევი „ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა". ნარკვევში მხატვრულად აღწერილია მახარაძის რაიონის, სოფელ ნატანების ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველთა ცხოვრება და მათი მუშაობის გამოცდილება. წიგნი გამოცემულია ამხ. ი. თავაძის რედაქციით. აღნიშნული ნარკვევი უფრო ვრცლად გამოვა ქართულ ენაზე.

სცენა სოფლის სამმართველოში

განსვენებულ მხატვარს ალ. მრევლიშვილს, როგორც მის არქივში დაცულ მასალებიდან ირკვევა მხატვრობის გარდა მოთხრობების წერაც უცდია. განსაკუთრებით მას ხალხური სიტყვიერება იზიდავდა. შეუკრებია უმთავრესად არაგვის ხეობაში და გამოსაცემად დაუმზადებია საკმაო მასალა (200 იგავ-არაკი, ზღაპარი, ანდაზა და სხვ.).

გარდა ამისა, ალ. მრევლიშვილს რამდენიმე ლირიკული ლექსი და პატარა სცენებიც აქვს დაწერილი. ქვემოთმოყვანილი „სცენა სოფლის სამმართველოში" 90-იან წლებში უნდა იყოს დაწერილი, ე. ი. სწორედ იმ პერიოდში, როცა განსვენებული ტრიალებდა სოფ. მცხეთაში და მეზობელ სოფლებში, და ეცნობოდა გლეხობის ცხოვრებას. აღნიშნული სცენა ანალოგიურია მისივე ცნობილი სურათისა: „სოფლის კანცელარიასთან", სადაც მხატვარი მეფის მოხელეთა ბიუროკრატიზმს, მექთამეობასა და გახრწნილებას ამხელს.

მაყვალა მრევლიშვილი

— დაჩუმდით, ხალხნო, დაჩუმდით, ეი! რა დაგემართათ? აღარა გრცხვენიათ არც ღმერთისა და არც კაცისა! რა იყო რა დაგემართათ? თითქო ცხვრის ფარას მგელი დარევიაო, ისე ღრიალებთ. თქვე ოხრებო, აქ მოგინდათ ერთმანეთის გინება და ჩხუბი! ამ ხელმწიფისა მაინც არა გრცხვენიათ, ე, კედლიდან რომ დაგყურებთ? ან ამ პატიოსანი კაცისა?! დაჩუმდით ერთი, გავიგონოთ რამე, ყურთა სმენა აღარ არის!

ასე იძახდა სოფლის მოხელე, პირველი თასაული სასოფლო სამმართველოში, კვირა დღეს, როცა მოჩივარ გლეხებს თავი მოეყარათ და განუწყვეტელი ყაყანი ედგათ. მხოლოდ დანარჩენი მსაჯულნი, ნონია და ტრიფუა, და მწერალი ცუნცულა ისხდნენ გაბუტულებივით.

მსაჯულის სიტყვამ იმოქმედა და ხალხი ცოტა დაწყნარდა.

— აბა, ლუკა,—დაიწყო ისევ მსაჯულმა,—წინ წამოდექ, იოსება გიჩივის, რომ შენ იმისათვის სიმინდი მოგიპარავს, ზედ ზარზე მოუსწრიხარ. შენ რას იტყვი?

— მე რას ვიტყვი? მე იმას მოგახსენებთ, რომ ბატონს წინა მოჩივარი მართალი ეგონაო. მე მაგის საჩივლელად მოველი და ეგ მე მიჩივის. სართი დასწრობისაო, ემაგაზეა ნათქვამი. აი საქმე როგორ იყო: ეს ერთი კვირა მეტია, რაც ჩვენმა მეგრულა ქათამმა კვერცხის დება დაიწყო. იპარამდა კვერცხსა და არ ვიცოდით, სადა სდებდა. რომ იტყვიან ჩვენსა კაკანებს, სხვაგან კვერცხსა სდებსო, სწორედ ისე იყო. ბოლოს თვალი მოვკარი, რომ იოსებას სიმინდის ზარიდან გადმოფრინდა კაკანით. ავედი ზარზე, ვნახე და ერთი კვერცხის მეტი აღარ იყო. თურმე მაგას უპარნია და შინ უზიდნია. თუ ეგ კარგი კაცი იყო, მეტყოდა, თუ შვილო, აი თქვენი ქათამი სდებს კვერცხსა, აიღე, შინ წაიღეო. მაგრამ ბოროტი სული რომ იქნება, იქნება. გთხოვთ, მაგას ჩემი მეგრულას კვერცხები დააბრუნებინოთ და აბიდისათვისაც კანონიერად დასაჯოთ.

— დახე ერთი, ეე! ჰაი როგორ იკატუნებ მაგ საძაღლე თავსა,—დაიწყო გულნატკენმა იოსებამ,—ეგ ენა რომ არ გებას, თაგვები სოროში შეგითრევდნენ. რის ვარია, რის კვერცხები?! იოსებამ ლუკას კვერცხები მოჰპაროს? მე მოვპარო? აი, ბატონო, ერთი კაცი მაინც არ არის ამ ხალხში, აბა ჰკითხეთ, თუ ჩემი ქურდობა გეეგონოთ ვისმე ან ჩემი ავი-კაცობა. რასა ბრძანებთ? თუ გინდა, მაგის ქათამს ჩემ ზარზედაც დეედო კვერცხები— იმ შუაღამისას რა დროს ძებნა იყო? ბატონო, პირველი მამლის ყიული იქნებოდა, ავდექი ლოგინიდან და, უკაცრაული პასუხია, გამოველი გარეთა. ჩემი სიმინდის ზარზე რაღაც ფაჩი-ფუჩი მომესმა. შავხედე და დავინახე, რომ სიმინდის გოდორს ვიღაც ასტუზვია. ვინა ხარ, მეთქი, დაუყვირე და კიტს წამოვავლე ხელი. რო დამატყო, რომ ვეღარსად წაუვალო, ჩამომძახა: მე ვარო. რა დაგიმართა. ვეღარ მიცანიო, კვერცხებს ვეძებო. მერე ჩამოვიდა, ხელში, ღვთის წინაშე არა ჰქონდა-რა, თურმე შარვლის უბეში არ ჩაუყრია. ეშმაკად, ერთი ჩახსაკრავი გაეხსნა იმ ჩამოხტომაზე და ი ტაროები სულ ზრიალით გაიშალა შიწაზე. ვერ მოახერხებდა რა, ხელობა რა არის! მეზობელმა რომ მეზობელი არ დაინდოს, რაღა ცხოვრება არის? რამდენი მოგიყვეთ მაგის ავ კაცობაზე — ვერც კი შოვთვლი. აი, იაგორა, ჰკითხეთ, ეგ გეტყვით, თუ მე ვტყუი.

— ნათქვამია, ცარიელ ჯამში ხელს არვინ ჩაჰყოფსო...

— მოიცა, ლუკა! — გააწყვეტინა სიტყვა მსაჯულმა ლომაურმა,—მოიცა შენი დროც მოვა, აბა, იაგორ...

— რას ამბობ, კაცო, — დაიწყო ისევ ლუკამ — თონე სანამ ცხელია, მანამ უნდა ჩააკრა პური...

— მოიცა მეთქი, — დაჰყვირა ლომაურმა, — დასწყევლოს ღმერთმა, ჯერ ვინც გიჩივიან, ისენი ვალაპარაკოთ და მერე ამდენი ილაპარაკე, სანამ მოგეწყინოს. აბა, იაგორ, შენ რაღას იტყვი ლუკაზე?

— მე რას ვიტყვი? მე იმას ვიტყვი, რომ იმ დღეს ბადეზე ვიყავი. შინ სველი მოვედი. გავიხადე ქვედა საცვალი, უკაცრაული პასუხია, და გოდორზე გადავეფინე—მზე თვალს დაჰკრამს, გაშრება მეთქი. პატარა ხანს შინ შეველი. მოვიხედე, ე ლუკას საცვალი იღლიაში ამოუჩრია და მიაქვს. სად მიგაქვს, კაცო? ეგ ხომ ჩემი საცვალია-მეთქი. იმან მითხრა: განა არ ვიცი, რომ შენიაო, შინ მიმაქვს, ჩემმა დედაკაცმა თონე გაახურა და ვთქვი, გავუშრობო. ჰაი-ჰაი! ცოტა დაგცლოდა, ვიცი, როგორც გააშრობდი, მაგრამ აღარ დაგაცალა ღმერთმა! ბიჭო, შვილო, როდის იყავ ეგეთი გულშემატკივარი? ზენა ქარო, არც შენი შემოტანილი მინდა, ნურც არას გაიტანო.

— მგელს მგლობა ერქო, ტურამ ქვეყანა ამოაგდოვო, შე ბრუციანო, შენა, შენზე ქურდი და ამოსაძირი ვიღა არის? ადგები და დაწანწალებ შუაღამეს მავნე სულივით, მითომდა ბადეზე დავდივარო. თუ სადმე სამართალია, ჯერ შენ მოგედება მაგ ქეციან კისერში. შენ ხომ არ დაგავიწყდა, ი ფოსტის დილიჟანს რომ თასმები შეაჭრი შოშის გზაზე? მოიცა, მე აქ არ გიჩივლებ, ასეთ ალაგას გიკრა თავი, რომ ციმბირი აქეთ დაგრჩეს. თუ არა და რა ჯანდაბათ მინდოდა შენი ტილიანი საცვალი?! გზაზე რომ ეგდოს, არავინ აიღებს. მოვიპარო და ისა? მარხვა ვჭამო დოსთვინაო? ან კი სამარცხვინოდ როგორ გაცვია ისა?

— შე რჯულ ძაღლო, შე მამაძაღლო, შენ ჩემ საცვალთან რა ხელი გაქვს?!

— რჯულძაღლიც ხარ და მამაძაღლიცა! გამქცევი და მამწევიც ორივ ღმერთს ეხვეწებოდაო...

აქ ისევ ასტყდება ყაყანი და გინება, ისე რომ მეორედ მოსვლასა ჰგავს, სანამ მეხივით ხმა მსაჯულისა არ შეაყენებს ხალხს. მხოლოდ წინანდელი სიჩუმე კი აღარ არის.

— თვალები უბრმავდება,—ამბობს ისევ იოსება, — შენ ჩემზე მეტი რათ გაქვსო. რაცა მაქვს შვილო, ჩემი ალალი, მარჯვენითა მაქვს, შენსავით ხომ ქურდობით არ მიშოვნია! მუხრან-ბატონს ბევრი აქვს, მაგრამ მე რას მარგებს. შენ ხომ ამ სოფელში დასაყენებელი არა ხარ, მაგრამ ვინ არის პატრონი? ერთმა თაგვის წრუწუნმა ასკოკიანი წაბილწაო, შენზე არის სწორედ ნათქვამი. სანამ შენ აქედან არ აგყრიან, სოფელს აღარ ეცხოვრება.

— ქურდს რა უნდა, ბნელი ღამეო, — დაიწყო ლუკამ. — ჰაი, თუ გაგიხარდება ჩემი წასვლა? დღეს მე გამისტუმრო, ხვალ სხვა, შენ დაგრჩეს ბურთი და მოედანი! ეგ არის. მამა შენი იყო, შვილო, მთელი ქვემოუბანი ამოიჭამა, ორჯერ მოკვდა და გაცოცხლდა, სანამ ბოლოს ძლივ ჩაძაღლდა. შენც იმის შვილი არა ხარ?

— ვის ეუბნები მაგეებსა, შე ძაღლის შვილო, შენა? გამიშვით ერთი, მე მოურიგდები მაგასა! სულ ხომ ხალხში არ იქნები? მარტოს მიგასწრო სადმე, იმდენს გცემ, რომ სულ...

— აი, ბატონო სუდიებო, ხომ გესმით, როგორ მემუქრება, — ამბობს ცოტა შეშინებული ლუკა, — თქვენც, ხალხო, მოწამე იყავით.

აქ კი ხმას ამოიღებს აქამდის ჩუმად მჯდომი მსაჯული ტრიფუა და ასე იტყვის:

— კარგი, იოსებ, ნუ ჯავრობ. აბა, რასა ჰყვირი, ჰკუამ მოჰჭამა სოფელი, ვერ ხმალმა ამოღებულმაო. შენ მაგას როგორ ასდევ, ოჯახისშვილი ხარ, ყბედი რამ დააჩუმა, მუნჯმაო. შენ ხომ გიჩივლია და ნახე ახლა რა პასუხს გაძლევთ და!..

ხალხი დაბალის ხმით ყაყანობს. მსაჯულები თავებს ერთად წაიხრიან და რაღაცას ბუტბუტებენ. მწერალი რაღაცას აფხაჭუნებს დავთრებში.

განაჩენი: „... რადგანაც ამათი შერიგება არ მოხდა, ამისათვის ლუკა კოდმანელს გადახდეს ხუთი მანეთი ფული სოფლის სასარგებლოდ".

ხალხის ყაყანს ვეგონებოდათ, ბოლო არ ექნებაო, მაგრამ შიმშილმა თავისი ქნა და გაფანტ-გამოფანტა. შინისკენ მიმავალი იოსება ამბობდა:

— მოდი და ეხლანდელ დროში იჩივლე, კაცი დასახრჩობია და ხუთი მანეთის მეტი არ შეაწერეს. მერე ვინ იცის, იმ ფულს ვინ შესჭამს? ეგენი უფრო აქეზებენ. მაგისთანა კაცს კი არ უნდა უჩივლო, როცა მოასწრო ავხელობაზე, მაშინვე დაჰკა და სული გააფთხობინე.

ხალხი დაიშალა, მხოლოდ ლუკა კანცელარიის კარებს არა შორდება და ელის სოფლის მოხელეებს. აგერ ისინიც გამოდიდნენ, და მწკრივად მიდიან. ლუკა აედევნა მათ. ისინი აინუნშიაც არ იგდებენ. ბოლოს ლუკა დაუსწორდება მიმავალთ და, თითქოს თავისთვის, ამბობსო:

— ეს ოხერი, ლამის მშიერი მოვკვდე, ისე მომშივდა!

ამ სიტყვებს ელოდნენ მოხელენი. ამაზე ყველანი შედგნენ. იგრძნეს, რომ „გასაკლერტი ლუკმა" გამოჩნდა. მწერალს ცუხცულას უნდოდა ერთი შეეთამაშნა, მაგრამ დროზე თავი შეიკავა. მსაჯულმა ტრიფუამ კი დარიგება დაუწყო ლუკას:

— აბა, შვილო, რას სჩადი, რაზე იმდურებ ხალხს? მამა შენი კაი კაცი იყო, ყველას უყვარდა. შენ რაღა დაგემართა? შენც იმის შვილი არა ხარ? კიდევ კარგი, რომ ჩვენ შეგხვდით, თორემ იცი, ემაგაზე რას გიზამდნენ?

— მე აკი მადლობელი ვარ. განა არ ვიცი, რომ საწყალი კაცი გებრალებათ. აბა, გენაცვათ, ერთი დავსხდეთ სადმე, ერთი კარგი პური ვჭამოთ, თორემ ამ ოხერმა შიმშილმა ძალიან შემაწუხა.

ამაზე მოხელეებმა ბაასი გააბეს — ვის უფრო კარგი ღვინო აქვს.

— სტეფანესი უნდა სჯობდეს.

— მელქუასაც კარგი აქვს, წითელია, ჰოპორტული.

— ჰო, ცოტა მარაზოშია, მაგრამ არა უჭირს-რა.

— არა, ძმებო, — დაიწყო დარბაისელმა ტრიფუამ, — მამასახლისის დუქანში წავიდეთ. მართალია, იმის ღვინოს ცოტა ქვევრის გემო აქვს, მაგრამ იმითი არ დაიწუნება, ჰამაც იმის გულსაც მოვიგებთ...

ამ რჩევას დაადგნენ და აღსრულებაშიც მოიყვანეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ლუკას ამხანაგი შეხვდება:

— ჰა, შე პირძაღლო, ლუკა, ის კარგი მოიგონე! რამდენი დაგეხარჯა?

— მაშ რა მექნა, აბა? ვიცოდი, მე ჩემი არ ამცდებოდა. ვთქვი, ისევ ერთად შევჭამოთ მეთქი. ოთხი მანეთი დამეხარჯა, ერთი მანეთი ჯიბეში დამრჩა. ერთი მანეთი გლეხკაცისათვის კარგი ფულია.

ალექსანდრე მრევლიშვილი

საზღვარგარეთ

ისტორიული მუზეუმი

საფრანგეთში არსებულმა „ისტორიული მუზეუმის საზოგადოებამ", რომლის თავმჯდომარედაც არის საფრანგეთის კომპარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, დეპუტატთა პალატის თავმჯდომარის მოადგილე ჟაკ დიუკლო, დააარსა ისტორიული მუზეუმი პატარა ქალაქ მონტრეილში, პარიზიდან 16 კილომეტრის მანძილზე. მუზეუმი გაიხსნა მიმდინარე წლის მარტში.

მუზეუმი მიეძღვნა საფრანგეთის ისტორიას მეთვრამეტე საუკუნიდან დაწყებული ჩვენს დღეებამდე. იგი მოთავსებულია მონტროს კოშკის ცამეტ დარბაზში. ცალკეული დარბაზები დათმობილი აქვთ საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის წინამორბედებს, შემდეგ — თვით ამ რევოლუციას, 1830 და 1848 წლების რევოლუციებს, ივლისის მონარქიას, მეორე რესპუბლიკას, მეორე იმპერიას. სამი დარბაზი დათმობილი აქვს პარიზის კომუნას, ორი — მესამე რესპუბლიკას და ორიც — ჟან ჟორესს.

მუზეუმში უაღრესად საინტერესო ექსპონატებია. არის იშვიათი წიგნები და უნიკუმებიც. გამოფენილია ავტოგრაფები — რუსოს, ვოლტერის, მარატის, დანტონის, რობესპიერის, ნაპოლეონის, ჟიულ ვალესის, კარლ მარქსის, ფრიდრიხ ენგელსის, ჟიულ გედის და სხვათა წერილები. მრავლად თავმოყრილია რევოლუციური ეპოქების გაზეთები, აკვარელები, კარიკატურები, ძველებური ფოტოგრაფიები, სადაც ასახულია კომუნის დროის სცენები და სხვ. გამოფენილია აგრეთვე მარქსის, ენგელსის, გედის, ვაიანის იშვიათი პორტრეტები. ჟორესისადმი მიძღვნილ ორ დარბაზში მოთავსებულია მისი პირადი ბიბლიოთეკა, საწერი მაგიდა, რომელზედაც იგი გაზ. „ჰუმანიტეს" რედაქციაში მუშაობდა, მისი წერილები და სხვ. უამრავი მასალაა თავმოყრილი პარიზის კომუნის სამ დარბაზშიც.

როგორც აღვნიშნეთ, მუზეუმი გაიხსნა მიმდინარე წელს — საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის 150 წლისთავზე.

ოპერა სტენდალის რომანის მიხედვით

პარიზში დასდგეს ფრანგ კომპოზიტორის ანრი სოგოს ახალი ოპერა „პარმის მონასტერი". ოპერის ლიბრეტო სტენდალის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით შედგენილია ლიტერატურათმცოდნის და ფრანგული ლიტერატურის მასწავლებლის არმან ლიუნელის მიერ.

პარიზის გაზეთი „სე სუარი" დიდად შეაქებს როგორც ლიბრეტოს, ისე მუსიკას.

„ლიბრეტო შესდგება 11 სურათისაგან, — სწერს გაზეთი, — მასში სავსებით გადატანილია სტენდალის რომანის სული. ოპერის მუსიკა დიდად აღელვებს მსმენელს. გრძნობ, რომ იგი დაწერილია გატაცებით და სიყვარულით. მასში გაცოცხლებულია ბერლიოზის და ბიზეს დრამატიული და მუსიკალური ტრადიციები. ახალი ოპერა ჩვენი ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი ლირიკული ნაწარმოებია. მისი დაუშრეტელი მელოდიურობა სავსებით იტაცებს და ხიბლავს კაცს".

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე ზ. ნატროშვილი

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 18 (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28. მთავლიტის რწმუნებული 287